

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

თეონა ფუტკარაძე

საქორწინო ადათ-წესები აჭარაში და მასთან დაკავშირებული
დიალექტური ლექსიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი - მედია რიჟვაძე, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

ხიჭაური

შესავალი-----5-12

§1.დაპირება-პარტნიორთა შერჩევა და მასთან დაკავშირებული აჭარული
ლექსიკა-----13-21

§ 2. ნიშნობა და მასთან დაკავშირებული აჭარული დიალექტიზმები-----
-----22-28

§ 3. ქორწილი აჭარაში და მასთან დაკავშირებული დიალექტიზმები-----
-----29-34

§ 4. პატარძალი ახალ ოჯახში და მასთან დაკავშირებული აჭარული
ლექსიკური ერთეულები-----35-37

§ 5. საქორწინო წეს-ჩვეულებასთან დაკავშირებული ხატოვანი სიტყვა-
თქმანი-----38-45

დასკვნითი დებულებები-----46-48

გამოყენებული ლიტერატურა-----49-50

ფოტომასალა-----51-54

ანოტაცია

ქართული ენის დიალექტების ენობრივი მონაცემების საფუძვლიანი შესწავლისათვის დიდი ყურადღება ეთმობა ცალკეული დიალექტის დარგობრივი ლექსიკის შესწავლას. ლექსიკის დარგობრივად შესწავლის მეთოდს კი გარკვეული უპირატესობა აქვს: ცხოვრების ამა თუ იმ დარგის თანმიმდევრულად აღწერა მეტი სისრულით გამოავლენს ლექსიკას და ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობაც უფრო გასაგებია. ამგვარი აღწერა არც ეთნოგრაფიული თვალსაზრისით არის ინტერესს მოკლებული.

აჭარული, ისევე როგორც სხვა კილოები, სწრაფ ცვლილებას განიცდის. ამდენად, მისთვის დამახასიათებელ ლინგვისტურ მონაცემებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძველი ქართული ენისა თუ ისტორიული დიალექტების და, საერთოდ, ქართულ ენაში მომხდარ ცვლილებათა პროცესების კვლევაში.

თეონა ფუტკარაძის მიერ წარმოდგენილ ნაშრომში „საქორწინო ადათ-წესები აჭარაში და მასთან დაკავშირებული დიალექტური ლექსიკა“, განხილულია საქორწინო ტრადიციასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი, თავისი სპეციფიკური დიალექტური ლექსიკით. მოცემული ნაშრომი მიზნად ისახავს აჭარული ქორწინების ტრადიციის აღწერა-გაანალიზებას და მასთან დაკავშირებული ლექსიკური მასალის დათქმის რეზუმეებს.

თემა აქტუალურია და მოსასწრები საქმეა, რამდენადაც ჩვენს თვალწინ იკარგება აღნიშნულ ტრადიციასთან დაკავშირებული ბევრი ლექსიკური ერთეული.

ნაშრომი მოიცავს: სარჩევს, ანოტაციას (ქართულ და ინგლისურ ენაზე) შესავალს, ერთ თავს, ხუთ პარაგრაფს, დაკვნებს და გამოყენებული ლიტერატურის დასახელებას.

**WEDDING TRADITIONS IN ADJARA AND DIALECT VOCABULARY
CONNECTED WITH IT
ANNOTATION**

For a thorough study of the linguistic data of the Georgian language dialects, great attention is paid to the study of the field vocabulary of individual dialects. The vocabulary study method has some advantages: The consistent description of a particular field of life will be revealed more accurately and the meaning of the vocabulary and lexical unit is more understandable. This type of description is again interesting in an ethnographical point of view

Adjarian dialect as others, has been changing rapidly. Therefore, the characteristic linguistic data attributes great importance to the changes in the old Georgian language or historical dialect and in the change of the Georgian language altogether.

In the thesis “Wedding traditions in Adjara and dialect vocabulary connected to it” presented by Teona Phutcaradze, is discussed custom rules connected to the wedding tradition with its specific dialect vocabulary. The thesis aims at describing and analyzing Adjarian wedding traditions and revealing vocabulary items connected to it.

The topic is widely discussed and should be done as soon as possible, since many lexical items connected to the tradition are disappearing in front of our eyes.

The thesis covers: content, abstract (Georgian and English versions) introduction, one chapters, five paragraphs, conclusions and bibliography.

შესავალი

ლექსიკა ყველაზე მოქნილი და ცვალებადი ნაწილია ენისა. იგი ფეხდაფეხ მისდევს ცხოვრებას, განუწყვეტლივ ივსება ახალი მასალით, საგამოთქმო ერთეულებით, რომლებიც ხალხის, საზოგადოების ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის განვითარებას ასახავს. საზოგადოების ეკონომიკური და კულტურული პროგრესი ქმნის ენის ლექსიკის გამდიდრების მყარ ნიადაგს. ყოველ ენას, მათ შორის ქართულსაც, მოეპოვება ლექსიკის გამდიდრების საკუთარი საშუალებები... მათ შორის ძირითადია დიალექტური მეტყველება (ლლონტი, 1988:5). ლექსიკურ საგანძურში დიდ ადგილს იჭერს დიალექტური მასალა. ამ ტიპის ლექსიკა კი ენის სიმდიდრეა. ყოველ კუთხეში ლოკალიზებულია ათასობით სიტყვა, რომლის მნიშვნელობა მეორე კუთხისათვის ხშირ შემთხვევაში სრულიად უცნობია. იგი მწერლობისთვის სიტყვობრივი მასალის ამოუწურავი სალაროა. ასეულობით კუთხური სიტყვა დამკვიდრებულია სალიტერატურო ენის საგანძურში მწერლობის მეშვეობით (ლლონტი, 1988:78-79).

ქართული დიალექტების მეცნიერული ღირებულება და დიალექტური მასალის შეკრების მეთოდური საფუძვლები პირველად ჩამოყალიბდა ა. შანიძის მიერ შედგენილ პროგრამაში, რომელსაც პრაქტიკულად იყენებდა 1911 და 1913 წლებში აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტების შესწავლის დროს. პროგრამაში აღნიშნულია, რომ, მართალია, ქართული გეპირსიტყვიერების მასალების შეკრება ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლებიდან დაიწყო, მაგრამ ამ საქმიანობას არსებითად მხოლოდ ლიტერატურული და ეთნოგრაფიული დანიშნულება ჰქონდა და არა საკუთრივ ენათმეცნიერული, რის გამოც დიალექტური მეტყველების შესასწავლად ეს

მასალა სანდო არ არის. იქვეა ჩამოყალიბებული დიალექტური მასალის შეკრების ძირითადი პრინციპი: „ყველა ფორმა უნდა ჩავინეროთ ისე, როგორც რეალურად არსებობს, ყურადღება უნდა მიექცეს შესაკრები მასალის არა იმდენად რაოდენობას, რამდენადაც ხარისხს“.

„ცოცხალი კილო, ცალკე აღებული, რომელიც უნდა იყოს, უფრო მარტივია და ერთფეროვანი, ვიდრე მნიგნობრული ენა, ენა ხელოვნურად შექმნილი მრავალ კილოთა თანამშრომლობით. რა თქმა უნდა, ყოველი დიალექტური კუთხე მოსაზღვრე კილოების გავლენას განიცდის, მაგრამ დანალექის გამოყოფა ძირითადიდან უფრო ადვილია კილოში, ვიდრე სამწერლო ენაში. კილოს თავისი ცხოვრება და საკუთრივი გზა აქვს განვითარებისთვის. მემკვიდრეობით მიღებულ საენო მასალებსაცა და თავის წიაღში აღმოცენებულ-განვითარებულსა თუ აგრეთვე სხვებისაგან ნასესხებ ფორმებს იგი თავისი ნორმების მიხედვით აყალიბებს, და ამიტომ მას შედარებით მეტი სიმარტივე და მთლიანობა ატყვია, ვიდრე მრავალფეროვან სალიტერატურო ენას“ (ჯორბენაძე, 1989:130). უფრო ადრე სტატიაში „ქართული კილოები მთაში“ ა. შანიძემ ქართულ ენათმეცნიერებას მიზნად დაუსახა ორი პრობლემის გადაწყვეტა „აუცილებლად საჭიროა ქართულის ცოდნა ისტორიულად და გეოგრაფიულად. სხვანაირად რომ ვთქვათ, საჭიროა წიგნების ფურცლებზე უკვე გაქვავებული ენის შესწავლა და მასთან ერთად ცოცხალი, მოძრავი ენის (ე. ი. კილოების) გამოკვლევა. ეს ორი პროცესი ხელიხელჩაკიდებული უნდა მიმდინარეობდეს... მკვლევარს არათფერი არ ეთქმის მასალების უქონლობაზე ორსავე დარგში, ე. ი. ქართულის შესასწავლად დროსა და სივრცეში, ისტორიულ გრამატიკასა და დიალექტოლოგიაში“, რადგან ქართული ენა წერილობითი ძეგლებითაც მდიდარია და ცოცხალი კილოებითაც.

სპეციალურ ლიტერატურაში ხაზი გაესმის იმ გარემოებას, რომ აჭარული ერთი იმ დიალექტთაგანია, რომლის შესწავლასთან დაკავშირებულია ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის საკვანძო საკითხები, რამდენადაც მას გარკვეული წვლილი შეუტანია სამწერლო ენის ჩამოყალიბებაში (ნიჟარაძე, 1975:9). აჭარულმა დიალექტმა შემოგვინახა ბევრი არქაული სიტყვა იმ მნიშვნელობით, რომელიც მათ ძველ

ქართულში ჰქონდათ. იგი ქართული ენის ერთ-ერთი უძველესი და უაღრესად მნიშვნელოვანი, ენობრივი თვალსაზრისით მეტად მრავალფეროვანი კილოთაგანია, რომელმაც, ქართული ენის სხვა დიალექტებთან ერთად, თავისი წვლილი შეიტანა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა და სრულყოფის საქმეში“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961:391).

აჭარული დიალექტური ლექსიკის შესწავლას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ლექსიკის თვალსაზრისით, აჭარული საინტერესო მასალას გვაწვდის. მასთან დაკავშირებულია დიალექტოლოგიის ბევრი საკვანძო საკითხი, რომლებშიც აისახა უძველესი ისტორიული პროცესები. ეს დიალექტი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ, თურქული ენის სამსაუკუნოვანი გავლენის მიუხედავად, შეინარჩუნა საკუთარი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი (ნიჟარაძე, 1975:7). იგი აჭარის მცხოვრებთა მეტყველებაა. თედო სახოკიამ, რომელმაც 1897 წელს აჭარაში იმოგზაურა, ამომწურავად აღწერს აჭარულ დიალექტს „თურქთა ბატონობას, მართალია, ქრისტიანობა განუდევნია აჭარიდან და აჭარლები ძლიერ მმოსაზნი გამხდარან მაჰმედისა, მაგრამ ქართული ენა მაინც შეუნარჩუნებიათ. ერთმანეთში სულ ქართულად ლაპარაკობენ. მაგრამ ყური უნდა შეაჩვიოთ. დიდი განსხვავებაა გურულ სხაპასხუპით ლაპარაკსა და აქაურების დინჯ ლაპარაკს შორის. ამ მხრივ აქაური ქართლელს უფრო მოგაგონებთ, ვიდრე დასავლეთ საქართველოს მკვირცხლ მკვიდრსა. თვითონ წელი მიმოხვრა, აუჩქარებლობა მათს ლაპარაკს შეეხამება. ერთი ამათგანი ქართლში ყოფილა და მითხრა, პირველად სანამ კარგად არ „დაუყურებდი“, ვერ ვიგებდი იქაურების ლაპარაკსაო. ეგ სიძნელე იმისგან წარმოსდგება, ჩვენი აზრით, რომ ზოგი სიტყვების ქართული სახელწოდება დაჰვინწყებიათ და თურქულ სახელებს ეძახიან. ასეთი სიტყვა როცა ფრაზაში გაერევა, ხანდახან მთელი ფრაზის შინაარსი გაუგებარი რჩება მსმენელისათვის. პირველი პირის ნაცვალ სახელს მე-ს ბოლოს ნა-ს უმატებენ ლაპარაკის დროს, როგორც ქართლის ზოგიერთ სოფელში იციან ხოლმე, ქართლელების მსგავსად, რამდენის მაგიერ რამითი-ს. მოხევეების მსგავსად, ხშირად ურევენ ლაპარაკში ჰაი, ჰაი-ს, ესე იგი, მაშ, ჰო.

აქვე შევხვდებით ბევრ სიტყვებს, რომელნიც ან ძველ ქართულში ან კიდევ სამეგრელოში ხმარობენ. მაგალითად, **შარვალს** სამეგრელოში **ძიგვა**-ს ეძახიან; ამავე სახელს ეძახის აჭარელი ტანისამოსის ამ ნაწილს, მხოლოდ მცირეოდენის ცვლილებით, სახელდობრ ძიგვა-ს (ქ-ს მაგივრად ვ-ნია ხმარებული). სხვათა შორის, აქვეა დარჩენილი ძველი, საღმრთო წერილის სიტყვა, რომელიც რამდენადაც ვიცით, საქართველოში სხვაგან არსად იხმარება, ან და ჩვენ მაინც არ გავვიგონია. ეს არის საეკლესიო ნივთის, ფეშხუმის სახით გაკეთებული ხის ჭურჭელი, რომელიც სუფრის ალაგს იხმარება აქ და სახელადაც ფეშხუმი ჰქვია. — მრგვალია, როგორც ფეშხუმი და იმასავით მრგვალი ფეხი აქვს შუაზე დიამეტრი ზოგს ორიდან სამ მტკაველამდე აქვს. ზედ აწყობენ საჭმლიან სპილენძის სინებს სადილ-ვახშმის დროს და მოსუფრალნი გარს შემოუსხდებიან. ჩვენი ყურადღება ძველი ქართულის ფორმამაც მიიქცია. არ იტყვიან: „მე არაფერი მეკარგება“, არამედ ასე უნდა თქვან: „მე არაფერი მეკარგების“. ლაპარაკში აქაურები მეტად თავაზიანები არიან. არ შეიძლება რამე თქვან, რომ არ დაატანონ: „ბატონი“, „ბრძანდები“, „თუ უკაცრავად არ გახლდეთ“ და ბევრი სხვა საბოდიშო სიტყვები, რომელნიც ქართული ენის ნიშანდობლივს თვისებას შეადგენენ. ქალებმა ოსმალური არ იციან. მხოლოდ ქართულად ლაპარაკობენ და მიამბეს, წმინდა ქართული ენა ქალებში უფროა დაცულიო“ (თ. სახოკია, 1985:149-150).

ცნობილია, რომ აჭარა ხანგრძლივად იყო მონყვეტილი მშობლიურ ქართულს, მის დიალექტებს, მაგრამ ქართული სიტყვა არ დაკარგულა. ამას განსაკუთრებით შეუწყობდა ხელი ისტორიული ვითარებით გამოწვეულმა აჭარელი ქალის კარჩაკეტილმა ცხოვრებამ. ამიტომ მის მეტყველებაში ნაკლებად აისახა ის ცვლილებები, რომლებიც აჭარულმა დიალექტმა, განსაკუთრებით ლექსიკამ, განიცადა თურქული ენის უშუალო გავლენით.

განსაკუთრებით საინტერესოა აჭარული და საერთო ქართველური ენების დიალექტთა ურთიერთმიმართების საკითხები. აჭარული კილოს ლექსიკურ ფონდში ერთ-ერთ თვალსაჩინო ფენას წარმოადგენს ძველი ქართულის ლექსიკა. ქართული ენის დიალექტების ენობრივი მონაცემების საფუძვლიანი შესწავლისათვის დიდი

ყურადღება ეთმობა ქართული ენის ცალკეული დიალექტის დარგობრივი ლექსიკის შესწავლას. ლექსიკის დარგობრივად შესწავლის მეთოდს კი გარკვეული უპირატესობა აქვს. ცხოვრების ამა თუ იმ დარგის თანმიმდევრულად აღწერა მეტი სისრულით გამოავლენს ლექსიკას; დარგის აღწერისას ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობა უფრო გასაგებია. ამგვარი აღწერა არც ეთნოგრაფიული თვალსაზრისით არის ინტერესს მოკლებული.

აჭარული მეტყველების შესახებ საკმაო ენათმეცნიერული ლიტერატურა მოგვეპოვება (მ. ხუბუას, ჯ. ნოღაიდელის, შ. ნიჟარაძის, ქ. ლომთათიძის, ნ. საბაშვილის და სხვ.), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აჭარული დიალექტის ლექსიკა დარგობრივად საბოლოოდ შესწავლილი მაინც არ არის.

აჭარული, ისევე როგორც სხვა კილოები, სწრაფ ცვლილებას განიცდის. ამდენად, მისთვის დამახასიათებელ ლინგვისტურ მონაცემებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძველი ქართული ენისა თუ ისტორიული დიალექტების და, საერთოდ, ქართულ ენაში მომხდარ ცვლილებათა პროცესების კვლევაში. აჭარული დიალექტი ერთ-ერთი საინტერესო საკვლევია დიალექტია ლექსიკის თვალსაზრისითაც, რადგანაც დიალექტის ლექსიკის კვლევა საიმედო მასალებს წარმოაჩენს ქართველურ ენათა მრავალი საკითხის დასადგენად. წლების განმავლობაში აჭარული დიალექტის დარგობრივად კვლევამ უამრავი ახალი ლექსიკური ერთეული წარმოაჩინა, რომლებიც თავის ადგილს ელის ენათმეცნიერულ ლიტერატურაში.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია საქორწინო ტრადიციასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი თავისი სპეციფიკური დიალექტური ლექსიკით. უპირველესად აღვნიშნავთ, რომ ლიტერატურა ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ ძალიან მცირეა. აჭარა საუკუნეების განმავლობაში თურქეთის ბატონყმობის ქვეშ იმყოფებოდა, ქართველ საზოგადო მოღვაწეებს მხოლოდ XIX საუკუნის 70-იანი წლების შემდეგ გაეხსნათ გზა აჭარაში და მისი ყოფისა და კულტურის შესწავლის საშუალება მიეცათ. პირველი ცნობები ეკუთვნით საზოგადო მოღვაწეებს დიმიტრი ბაქრაძეს, გიორგი ყაზბეგს, ზაქარია ჭიჭინაძეს, თედო სახოკიას, და სხვებს. თუმცა მათი

მონაცემები არ არის გამიზნული ქორწინების სხვადასხვა საკითხის სპეციალურად გარკვევისათვის და ფრაგმენტულ ხასიათს ატარებენ, ლიტერატურის სიმცირის პირობებში, მაინც იმსახურებენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

დიმიტრი ბაქრაძემ, 1873 წელს იმოგზაურა აჭარაში. ამ მოგზაურობის შესანიშნავ აღწერაში ავტორი აჭარის ისტორიისა თუ ყოფის სხვადასხვა მხარეებს გვაცნობს, სამუხაროდ, ქორწინებას, უფრო სწორად, მის ზოგ მომენტს, სხვა საკითხებთან შედარებით ძალიან მცირედ ეხება. მნიშვნელოვანია, რომ იგი ხაზს უსვამს იმას, რომ მომხდარი ცვლილებების მიუხედავად აჭარული ქორწილის წესები ბევრი რამით იდენტურია ქართულისა: „აჭური ქორწილის წესები ბევრი რამით გვაგონებს ქართულს; ასე მაგალითად, მშობლების წინასწარი მოლაპარაკება უცხოთა საშუალებით, მზითევის პირობა და თვით მზითევი, ნიშნობა და მისი ცერემონიალი, სასიძოსა და სარძლოს სახელწოდებანი ქორწილის პირველ დღეებში „მეფე-დედოფალი“, აგრეთვე „მაცრები“, რომლებიც ქორწილის წინ ქალის ოჯახში მიყვებიან მეფეს, , ამ დროს სრულდებოდა სიმღერა „მაცრული“, თვით „ქორწილი“ და მისი ხანგრძლიობა სამი დღით - ყველაფერი ეს ატარებს წმინდა ქართულ ხასიათს, რაც შემონახულია არა მხოლოდ აჭარაში, არამედ ყველგან ამ კუთხის ქართველ მუსლიმანებში (დმ. Бакрадзе, 1878:50). დ. ბაქრაძე მოკლედ ეხება მზითევს - ქალის მდგომარეობას და ქორწინების ზოგიერთ სხვა საკითხს.

აჭარული ქორწინების შესახებ ფრაგმენტული ხასიათი აქვს გიორგი ყაზბეგის (იმოგზაურა 1874 წელს) მონაცემებსაც. ქორწინების ზოგ საკითხს ეხება ზ. ჭიჭინაძეც. მას აქვს ცნობები მოტაცებაზე, გამოსასყიდზე, მზითევე და საერთოდ აჭარელი ქალის საქმიანობაზე. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი მხოლოდ თურქეთის ბატონობით გამოწვეულ ძნელებელობასა და ისლამის გავლენას მიაწერს აჭარაში ბევრი წესის არსებობას, რომლებიც, საერთოდ, თავისი გენეზისით ზოგადი ხასიათისა არიან და ავტორის თანამედროვე საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ეთნოგრაფიულ ყოფაშუც არსებობენ.

XIX ს. მეორე ნახევარში მსგავსი საკითხის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ილია ჭავჭავაძემ. სწორედ მისი დამსახურებით, გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები დიმიტრი და მოსე ჯანაშვილები, ივანე გვარამიძე, ბესარიონ ნიჟარაძე, თედო სახოკია, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, პეტრე ჭარაია, ნიკო ჯანაშია და სხვა იწყებენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქართული ზნე-ჩვეულებებისა და ყოფა-ცხოვრების მრავალი მხარის შესწავლას. სწორედ ამ მიზნით 1897 წელს აჭარაში იმოგზაურა გამოჩენილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ თედო სახოკიამ. მოგზაურობის შედეგად მან აჭარის ყოფა-ცხოვრებისა და ისტორიის შესანიშნავი ნარკვევი დაგვიტოვა. მას აჭარის ყოფისა და კულტურის არც ერთი მხარე არ აქვს გამორჩენილი. სხვა მასალებთან ერთად ავტორი გვაძლევს ცნობებს ქორწილის ზოგი წესის: მოტაცების, განქორწინების თუ სხვათა შესახებაც. გარდა ამისა, ცალკე პარაგრაფად აქვს გამოყოფილი „ოჯახი და ცოლ - ქმრობა“. თ. სახოკია მისთვის ჩვეული ყურადღებისა და დაკვირვებულობის წყალობით გვამცნობს იმ დროის აჭარას. აგრეთვე, გვხვდება ქალის არჩევისა და დანიშნვის წესების აღწერა, ეხება ძველად აკვანში დანიშნვის წესს, საქორწინო ასაკს, ე. წ. მორიდების ინსტიტუტს, რძით ნათესაობის გავლენას ქორწინებაში და სხვა. ასევე არ გამორჩენია „ნიშანლობის“ ინსტიტუტის არსებობაც, თუმცა ამ ტერმინს არ ხმარობს. ყოველივე ამათ შესახებ თედო სახოკია გვანვდის მოკლე, მაგრამ მნიშვნელოვან ცნობებს.

მცირე, მაგრამ საინტერესო ცნობებს გვანვდიან სამხედრო კორესპოდენტები ვ. ი. ლისოვსკი და ფრენკელი. ფრენკელს თავის ნაშრომში ერთ-ერთ ქვესათაურში ცალკე აქვს გამოყოფილი „ქორწინება, ცოლები“. აღწერილია, მაგალითად ქალის გარიგებით თხოვნა, ეხება ქორწინების ფინანსურ მხარეს, ორცოლიანობას ბეგებში და საშუალო ფენებში. ასევე, აჭარელ ქალს და ხაზს უსვამს მის დიდ დამსახურებას ქართული წეს-ჩვეულებებისა და საერთოდ ქართველობის შენარჩუნების საკითხში.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული პრესის ფურცლებზე ვხვდებით წერილებსა თუ ცალკეულ ცნობებს ქორწინების შესახებ, თუმცა აღწერილობითი მასალა არ არის სრული. მათგან აღსანიშნავია, გაზეთ „სახალხო

ფურცლის“ ერთ-ერთი კორესპონდენტის, სანგანიძის წერილი „ქორწილის“ ქვესათაურით. იგი აღწერს ქორწილს, რომელსაც თავად დასწრებია. წერილი ეხება „ელჩობას“, „ნიშნობას“, გამოსასყიდს, დედოფლისათვის საქორწინო ჩასაცმლის მირთმევას - „ბოხჩას“, მზითევს, ქორწინების ოფიციალურ გაფორმებას - „აღდის გაკვეთას“ და ბოლოს, ქორწილის მოკლე აღწერილობას.

გაზეთ ივერიის ფურცლებზე, ვხვდებით ი. ჯაიანის წერილებს ქორწილისა თუ ქორწინებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხის შესახებ. ეხება გამოსასყიდს, მოტაცებას, ნიშნობას და სხვა. ყურადღებას იქცევს ჯ. ნოლაიდელის ნაშრომი „აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან“, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენთვის საინტერესო საკითხებს. მაგალითად: სხვადასხვა საქორწინო წესების აღწერას, აღდის გაკვეთას, ჩაკეტვას, ფადიკობას. აჭარული ოჯახისა და ქორწინების ზოგ საკითხს დასახელების ფორმათა კვლევის დროს ეხება ალექსანდრე რობაქიძე, სადაც საუბარი აქვს ზედსიძეობის ინსტიტუტის შესახებ.

თურქეთის ხანგრძლივი ბატონობის და მაჰმადიანობის გავრცელების მიუხედავად, ქორწინებასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები ძირითადად ქართულია. განსაკუთრებით იგი ემთხვევა ლაზურ საქორწინო წეს-ჩვეულებებს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში აჭარის ისტორიულ ბედს იზიარებდა. ამას ადასტურებს ნ. მარის ლაზეთში მოგზაურობის აღწერა და მ. ვანილიშისა და ა. თანდილაეას ნაშრომი, „ლაზეთი“.

ზემოთ ჩამოთვლილი სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემები, ქორწინების სრულ სურათს, რა თქმა უნდა, ვერ იძლევა, ამიტომ მოცემული ნაშრომით ვეცდებით აჭარული ქორწინების წეს-ჩვეულებების აღწერა-გაანალიზებას და მასთან დაკავშირებული ლექსიკური მასალის დაფიქსირებას. ქორწინებასა და საქორწინო ტრადიციების სხვადასხვაგვარობას კულტურული ფასეულობანი, ისტორიული თავისებურებები, ეთნიკური ხასიათი, სოციალური ცხოვრების წესი, გეოგრაფიული გარემო, მეურნეობის ფორმები და, კონკრეტულად ამ ადათ-წესებთან დაკავშირებული სპეციფიკური ლექსიკური ერთეულები განსაზღვრავდა, რომელთა შეკრება-სისტემატიზაცია ჩვენი

ნაშრომის უმთავრესი მიზანია. მიგვაჩნია, რომ ეს საკმაოდ საშური და მოსასწრები საქმეა რადგანაც ცხოვრების ცვლილებასთან ერთად იცვლება ტრადიციები და ჩვენს თვალწინ იკარგება მასთან დაკავშირებული ბევრი ლექსიკური ერთეული.

ქართული ტრადიციული აჭარული საქორწილო ცერემონიალი რამდენიმე საფეხურს ითვალისწინებდა: დაკვლევა - დარიგება; დანინდვა ანუ ნიშნობა; საპატარძლოს გამოთხოვება - ქორწინება და პატარძლის სამუშაოზე გაყვანა (სიხარულიძე, 1960: 256). მოცემული ნაშრომი ამ საფეხურების მიხედვით არის სტრუქტურირებული.

§ 1. დაპირება-პარტნიორთა შერჩევა და მასთან დაკავშირებული აჭარული ლექსიკა

აჭარული ქორწილი რამდენიმე ძირითადი მომენტისაგან შედგებოდა, შესაბამისად, აჭარულ დიალექტში კარგადაა დაცული საქორწინო წეს-ჩვეულებასთან დაკავშირებული ტერმინები. საქორწინო წყვილთა შერჩევის პროცესი რამდენიმე საფეხურიანი პროცედურით ხასიათდებოდა.

ჩვეულებისამებრ, დაქორწინება - „დასახლება“ (1.ოჯახის შექმნა, ნიჟარაძე; დაოჯახება, დაქორწინება, ცოლის შერთვა; 2. სახლ-კარის გაჩენა, დაბინავება, ჩუბინაშვილი; დაბინავება - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი), როგორც გათხოვება ხდებოდა უფროსების, განსაკუთრებით, მშობლების გადაწყვეტილებით.

უკვე ზრდასრულ ვაჟსა და გოგონას მშობლები საოჯახო ცხოვრებისათვის ამზადებდნენ. მათ ხშირად მოიხსენიებდნენ ტერმინით - დასასახლებელი, დასაოჯახებელი.

მნიშვნელოვანი იყო დასაქორწინებულ წყვილთა ფიზიოლოგიური მდგომარეობა, ქორწინებისათვის ყველაზე სასურველ ასაკად აჭარაში, დაახლოებით 17 – 20 წელი ითვლებოდა. მიუხედავად ამისა, წინათ ეს ასაკი მნიშვნელოვნად მერყეობდა. თუმცა ხდებოდა ისეც, რომ ქორწინებისათვის მოუმწიფებლობა ოჯახის შექმნაში ხელის შემშლელი ფაქტორი და ბარიერი ყოველთვის არ იყო. შესაძლოა, უსაკო ქალიშვილი სახლში რძლად **შამეყვანენ**, საოჯახო ყოფაში ჩაერთოთ.

საქორწინო ადათ-წესებზე საუბარი, ბუნებრივია, პირველი ნაბიჯიდან, აკვანში ნიშნობის ტრადიციიდან უნდა დავიწყოთ. აკვანში დანიშვნა წარმოადგენდა ნიშნობის საკმაოდ გავრცელებულ ფორმას, რომელიც განსაკუთრებით საქართველოს მთის მოსახლეობის ყოფით სინამდვილეს შემორჩა. იგი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიის ხალხებში საყოველთაოდ დამკვიდრებული ტრადიცია ყოფილა (ჩოხელი,1990:11). აკვანში ნიშნობა მხოლოდ მშობლების სურვილზე იყო დამყარებული. ეს იყო დროზე ადრე დანიშვნა-გათხოვების ერთი წესი.

აღნიშნული ჩვეულება ცნობილი იყო საზოგადოების როგორც მაღალი, ასევე დაბალი ფენებისათვის, თანაც იმდენად გავრცელებული, რომ რუის-ურბნისის მსოფლიო კრებაზეც კი დღის წესრიგში მდგარა ამ ტრადიციის საკითხი (ჟორდანია, 1897 : 64).

დაბადებამდე და აკვანში დანიშვნა, მხოლოდ სიტყვიერ შეთანხმებას წარმოადგენდა, მაგრამ - *„ულვაშის სიტყვა ქრიდა“* და კმაროდა. *ნიშნის მიტანა* (ნიშნის მიტანა - დანიშნვის შემდეგ ვაჟის მხრიდან ქალთან ახლობლების საჩუქრებით მისვლა) კი დანიშნულთა საქორწინლო ასაკში შესვლის დროს ხდებოდა. ასეთი ნიშნობის „ნიშნით“ განმტკიცების ფაქტი საქორწინო ასაკში შესვლის დროს ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში აღიარებულია იმ მოვლენის მიმანიშნებლად, რომ

აკვანში დანიშნვამ უკვე, იმდენად დაკარგა გადამწყვეტი მნიშვნელობა, რომ საქორწინო პირთა ასაკში შესვლის დროს ნიშნობის კვლავ განმტკიცების საჭიროება წარმოიშვა (ჭყონია, 1959 :130).

ასეთ პირობებში დანიშვნის წინა საფეხური - *შუაკაცის გავზავნა* და თავიდან *დაპირება* (დაპირება - შუამავლის მიმოსვლა საქორწინო ოჯახებს შორის, ნიშნობამდე და საქმის კეთილად დასრულების ცდა, ქორწინებაზე წინასწარი შეთანხმება) აღარ ხდებოდა.

დაბადებამდე და აკვანში დანიშვნის გადმონაშთების საკითხის თვალსაზრისით ერთგვარად საინტერესოა აჭარაში წარსულში გამოყენებული თურქული ტერმინი - „*ბეშიქერთმა*“ (თურქული (Besik) აკვანი (besik kertme nisanli) აკვანში დანიშნული - ბავშვების დაბადებამდე თუ აკვანში დანიშვნა სიტყვიერი პირობა, დიდხანს იყო შენარჩუნებული, მთხრობელთა გადმოცემით, ეს ჩვეულება უკუუგდიათ, რადგან ბავშვების გაზრდის შემდეგ ხდებოდა ისეც, რომ უკვე გაზრდილ წყვილს ერთმანეთი აღარ მოსწონდათ, შესაძლოა, სხვა რომელიმე მიზეზითაც დანიშნულთა დაქორწინება ჩაშლილიყო, გოგონა სხვა ვაჟს გაყოლოდა, ასევე, ვაჟს ცოლად სხვა გოგონა მოეყვანა, ან რომელიმე მათგანს ნაკლი აღმოჩენოდა და ეს ქორწინების ჩაშლის საბაბი გამხდარიყო. ყველა შემთხვევაში, სამოყვროდ თუ საახლობლოდ გამზადებული ოჯახები, დასაშვებია, გადამტერებულიყვნენ, თუმცა ბევრი ყვება, რომ ვითარება ყოველთვის მშვიდობიანად გვარდებოდა) არსებობა. კარგადაა ცნობილი, რომ საქართველოს სხვა კუთხეთა ყოფაშიც შემორჩა ეს წესი. აჭარაში კი მის აღმნიშვნელად თურქული ტერმინის არსებობა, უდავოდ მიუთითებს ამ მოვლენების არსებობაზე იმ პერიოდის თურქეთში, როცა იგი აჭარაზე ბატონობდა.

აკვანში ნიშნობის პარალელურად, ფართოდ მოქმედებდა მცირეწლოვან ბავშვთა დანიშვნის წესი. ხოლო აკვანში ნიშნობის ჩვეულების თანდათანობით გადავარდნასთან ერთად საქართველოში მას საერთოდ მცირეწლოვან ბავშვთა დანიშვნის წესი ჩანაცვლებია. მცირეწლოვანთა დანიშვნის წესის შესრულება კვლავ მშობლების სურვილსა და გადამწყვეტილებაზე ყოფილა დამოკიდებული (ქერიძე, 1977 : 227).

მსგავსად აკვანში ნიშნობისა, მცირეწლოვანთა დანიშვნისათვის დამახასიათებელი არ ყოფილა **ურვადზე** (ურვადი//ურვათი - საქონლით გადასახადი საცოლისთვის, გავრცელებული იყო მოხეურსა და მთიულურში, სასიძო აძლევდა საცოლის მშობლებს) წინასწარ შეთანხმება, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, როდესაც ახლო მეგობრები გამოთქვამდნენ დამოყვრების, თავიანთი შვილების დაქორწინების სურვილს. სხვა შემთხვევაში ნიშანდობლივი ჩანს ურვადზე წინასწარ მოლაპარაკება-მორიგების წესი ვაჟის მამის მიერ გავზავნილ შუაკაცსა და ქალის მამას შორის. ურვადზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში ნიშნობის მონყობა შეუძლებელი იყო (ითონიშვილი, 1960 : 118).

მცირეწლოვანთა დანიშვნა, რა თქმა უნდა, ვერ ამართლებდა თავის ფუნქციას, პირიქით, იგი ახალგაზრდებისთვის უბედურების მიზეზი ხდებოდა. წეს-ჩვეულება გარკვეულ ისტორიულ პერიოდში ყალიბდება და გარკვეული პერიოდის შემდეგ თავის ძლევამოსილებას კარგავს. ტრადიციის სიმყარე დროის გამოცდაზეა დამოკიდებული.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საცოლის ამორჩევის - დაკვლევის (დაკვლევა - შეხედვა, ცქერა. „რომ მნახავ, კარგად დამკვლიე, გარჩევით დამაცქერდია“ ლლონტი) პრინციპი საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავდება. ნატურალური მეურნეობის პერიოდში საპატარძლო ძირითადად „ჯანმავრობით“ ფასდებოდა (სიხარულიძე, 1960 : 259).

ახალგაზრდა კაცს პარტნიორს, ე. წ. საცოლეს ურჩევდა დედა, და, ან რძალი, რომლებსაც შეეძლოთ სასურველ ქალიშვილს დაკვირვებოდნენ. პარტნიორის შესარჩევად, კარგი ადგილი იყო „ნადი“, (ნადი - მამითადი. კოლექტიური შრომის სახე. შ. ფუტკარაძე - „პური ჭრაში ნადი მყავდა, ჩამუერივე თითო ვაშლი“; საბა - ნადი - მუშაკნი შეყრილნი აჭარაში შრომითი ურთიერთობის ყველაზე გავრცელებული ფორმა) თვით ქორწილები, „**მემხლიანობა**“ (მემხლიანობა || მემხლიობა - მემთევრთა დღეობა, რომელსაც მთაში მართავენ. შ. ნიუარაძე - მემხლიობა, ნახლიობა. შუამთობის დღესასწაული. მემხლიანობა მესაქონლე-მინათმოქმედთა უძველესი

ხალხური დღესასწაულის, შუამთობის ძველი სახელწოდება იყო, რომელიც ზემო აჭარაში ალპურ საძოვრებზე მესაქონლეების ყოფნის შუა პერიოდში ტარდებოდა. როცა ბარში შედარებით მოიცილიდნენ, სამუშაოებს მოათავებდნენ, მაშინ ქალი და კაცი გუნდ-გუნდად მთებში, აგარაკებზე სამემხლიანოდ მიემგზავრებოდნენ, თან დამკვრელები, მოცეკვავეები და მომღერლები მიყავდათ. მემხლიანობა (მენხლიანობა) დაახლოებით 1-20 აგვისტომდე გრძელდებოდა. სამემხლიანოდ მთაში ასული ხალხი მაღალ გორაზე გროვდებოდა, კოცონებს ანთებდნენ, მთვარის ქვეშ გათენებამდე ცეკვავდნენ, მღეროდნენ, უკრავდნენ და სხვადასხვა თამაშს აწყობდნენ. შემდეგ ცხვარსა და დეკეულს დაკლავდნენ და ნათესავ-მეგობრებს დაიწვევდნენ. აჭარაში გავრცელებული მემხლიანობა წმიდა გიორგის სახემეცვლილი დღესასწაული უნდა ყოფილიყო. ერთ-ერთი მელექსე ბარიდან სამენხლიანოდ დაძრულ ხალხზე ასე მღეროდა: „ჯავახეთის კორდიანო, მენხლიანი მოდიანო, ალმური კოხტა ქალები გარეთ არ გამოდიანო“ ნოლაიდელი, 2015) და „**შუამთობა**“ (შუამთობა - მესაქონლეთა საზაფხულო-საიალალო ყოველწლიური ხალხური ტრადიციული დღესასწაული იყო, რომელსაც ისტორიულად, ძირითადად, ზემო აჭარის - ხულოს რაიონის მოსახლეობა ძველი დროიდან მისდევდა. შუამთობის ტრადიციამ და მასთან დაკავშირებულმა წეს-ჩვეულებებმა თავისებური ტრასფორმაცია განიცადა და მნიშვნელოვნად სახემეცვლილი ფორმითა და შინაარსით მოგვევლინა. ამაზე უნდა მიუთითებდეს ისიც, რომ ზემო აჭარის სხვადასხვა ხეობასა თუ სოფელში შუამთობა ისეთი სხვადასხვა სახელწოდებითაც აღინიშნებოდა, როგორც იყო **მენხლიანობა** (მემხლიანობა//მერხლიანობა), **ღამი თეობა**, **სეირანი**.... დღევანდელიობამ უფრო ზოგადი ტერმინი შუამთობა შემოგვინახა (ნიჟარაძე, 1948:78).

ახალგაზრდა გოგოს მოწონებას **გამორჩევა** და **თვალის დაკავება** ეწოდებოდა. თვალის დაკავების შემდეგ, იწყებდნენ ამ ქალის შესახებ ყოველგვარი ცნობების შეგროვებას - გაკითხვას (საქორწინო წყვილის და მათი ოჯახების ვინაობის გაგება; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი - მოკითხვა, მოძებნა). გაკითხვაში შედიოდა პირადი ღირსებების, მათი ოჯახის და ნათესავების ავკარგიანობის გარკვევა.

გაიკითხავდნენ აგრეთვე **მოძმეს** (გვარს შიგა ნათესაური ერთეული; საბა- მოძმე - ბიძაშვილი და მითანანი) და **გამრიგობსაც**, (გამრიგო - განაყოფი, საერთო ძირიდან ნაყარი ოჯახი, ნათესავთა ჯგუფი, მგელაძე) მათ სახელსა და გავლენიანობას, მთელ საგვარეულოს - „**ჯინს**“ (ჯინსი - არაბული (cins)- ჯიში, ჯილაგი, გვარი, ტომი, შთამომავლობა - ნიჟარაძე; ფუტკარაძე - მოდგმა, თაობა, ჯიში, ოჯახი, რასა; „დოსტი მონახვამლი ჯინსინა მეიკითხო“; ხასიათი, ადათი, არსება, ნატურა. უმთავრესად გვხვდება კომპოზიტში - ჯინსი-ჯიბილთი) და „**ჯიბილეთს**“ („ჯიბილეთი-არაბული (cibiliyet) ჯილაგი, ჯიში, მოდგმა, გვარი, ტომი, შთამომავლობა. იგი სიტყვა „ჯინსთან“ ერთად იხმარებოდა: „ამქარ და შენი ჯინსი-ჯიბილეთი, რანაირი ადეთი გაქვან, ჰა!“), დედის ხაზის ნათესაობას - „**ბებრევოს**“.

ბებრევთი//ბებრეუთი - დედის ნათესაობა. იგი ხულოს მკვიდრთა მეტყველებაშია გავრცელებული და დედუღეთის შესატყვისი სიტყვაა. „დედის სამშობლო შვილისათვის ბებრეუთიაო“, - აღნიშნავენ ინფორმატორები. ბებრევთი, აჭარულის გარდა, არაა ფიქსირებული ქართული ენის რომელიმე სხვა დიალექტში. საგულისხმოა, რომ ჯავახურსა და მესხურ კილოებში ბების აღსანიშნავად დაცულია სიტყვა *ბებერა* (დასახელებასა და მიმართვაში: *ბებერაჩემი, ბებერაჩემო*. ნ. მესხური, ჯავახური, *ბებერა* - ბებია, დიდედა(გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ, ქავთარაძე ი., 1961:646, 673).

სალიტერატურო ქართულში ბებერა აბურცებული, აშუშებული ადგილი, აბურცებული წყალჩამდგარი კანია (ჩუბინაშვილი, 1961). ბებერას გაჩენა ნიშნავს ტყავის თუ კანის გაუხეშებას, „დაბერებას“, აბურცებას, ადგომას (საბა, 1928). გარკვეულია, რომ ბებერა მიღებულია სიტყვიდან ბებერი, თვითონ სიტყვა ბებერი, კი - ბერ ფუძის რედუპლიკაციით (ქავთარაძე 1969: 99).

ბებრეუთი (ბებრევთი) სიტყვა ბებერადან ნაწარმოები ლექსიკური ერთეულია. იგი შინაარსით დედუღეთის თანხვედრილია და მისივე ანალოგიით უნდა იყოს მიღებული - ველ და ვთ სუფიქსების დართვით (შანიძე, 1953:130), აჭარულისათვის დამახასიათებელია განსხვავებული ფონეტიკური მოვლენები: ბებრა + ველ >

ბებერეულ > ბებრეველ > ბებრევე.. დადასტურებულია, რომ ვე კომპლექსი აჭარულ დიალექტში ისწრაფვის დიფთონგად გადაქცევისკენ (ნიჟარაძე, 1961:21): ვე > ვე > ვე: პურეული > პურეული, ნიგაზეული > ნიგაზეული. არის მოსაზრება, რომ -ვე სუფიქსი ზოგიერთ გეოგრაფიულ სახელშიც -ეულ სუფიქსისგანაა მიღებული აღნიშნული საფეხურების გავლით და ბოლო ლ თანხმოვნის დაკარგვით. მაგ. მაჭახლის ხეობის ტოპონიმებში :მარჯანევი, ბირტყევი, მაზარევი... ამ ხეობის მცხოვრებნი დასახელებული ფორმების პარარელურად ხმარობენ -ლ ბოლოხმოვნიან ფორმებსაც: ბირტყეველ, მაჯანეველ, მაზარეველ (მსხალაძე, 1954:25-27). ამრიგად, ბებერა - დან -ეულ სუფიქსის დართვით მივიღეთ ბებრევე-ი. თუ ამ ფორმას -ელ კრებითობის, მრავლობითობის სუფიქსი დაემატება, გვექნება: ბებრევეთი საიდანაც ვითარდება ფორმები: ბებრევეთი > ბებრეუთი .შესაძლებელია სხვაგვარი წარმოების დაშვებაც : სიტყვის ბებერა -ეთ სუფიქსით გაფორმება: ბებერა+ ელ > ბებრეთი. თუ მიღებულ სიტყვაში ჩაემატებოდა გ ბგერა, რისი მაგალითიც ბევრია აჭარულში (მაგ. საჩუქვარი, საცოდვავი, მაშინ, იძულვებული, და ა.შ), მაშინ მივიღებდით ფორმას ბებრეუთი.

შესაძლოა, ბებრეუთი ბებერ-ის მრავლობითის ფორმას წარმოადგენდეს -ვე სუფიქსის დართვით (შანიძე, 1953:138). შდრ. -ვე დაბოლოებიანი მრავლობითი ზოგიერთ სოფელთა სახელებში: ვაშლევი (ვაშლები, ბელლევი (ბელლები) და იყოს კომპოზიტი, რომლის მეორე ნაწილი საზოგადო სახელია, ვთქვათ, სახლი, კარი, სოფელი..., როგორც, მაგ.: ჭიქთუბანი, წინამძღვრიანთკარი, ვეძათხევი და სხვა. ასეთ ფორმებს დროთა ვითარებაში უნდა დაჰკარგვოდა მეორე ნაწილი გზათა, ბაქართა.. (ზურაბიშვილი, 1961:142) ე.ი. ამ შემთხვევაში დასაშვებია, მიგველო ბებრევეთა > ბებრეუთი. ბებრევეთიდან კი ბებრეუთი (გვაქვს შემთხვევები, როცა გ უ-ს უდრის; შდრ. რუა, ზლუა - (ჩიქობავა, 1936:14). აჭარულშიც იძებნება მსგავსი ნიმუშები: ბევრი > ბეური, თევრათი > თეურათი).

ბებრევეთის//ბებრეუთის საწარმოებელი ფუძე ვფიქრობთ, ბებერა (საბა, მესხურ - ჯავახური) უფროა, ვიდრე - ახალი სალიტერატურო ქართულისათვის ცნობილი

ბებერი. მესხურ - ჯავახურის მსგავსად. ზემო აჭარულში ბების, მოხუცებული ქალის აღსანიშნავად იხმარებოდა სახელი ბებერა, მაგრამ დროთა ვითარებაში ეს გაგებით დაიკარგა და მისგან ნაწარმოები სიტყვა ბებრევეთი//ბებრეუთი შვილიშვილისათვის დედულეთის, გათხოვილი ქალიშვილისათვის კი- მშობლიური კუთხის, „სამშობლოს“ აღსანიშნავად შემოგვრჩა.

როცა გაკითხვის შემდეგ ქალის ავკარგიანობას ოჯახის უფროსები დაადგენდნენ, მონახავდნენ შუაკაცს - მაჭანკალს ქალის ოჯახში მისაგზავნად. შუაკაცის აღსანიშნავად აჭარაში რამდენიმე ტერმინია დაფიქსირებული - „ელჩი“ (ელჩი - თურქული (elci) მაჭანკალი, იხმარება აგრეთვე, შემავალი, მურავი; საბა - დესპანი, ომირა; ნიჟარაძე - შუამავალი, მაჭანკალი, მაშვალი. „ელჩი ვარ, ებოში გამიგე ხალიჩა, ელჩი ვარ ნაკურთხი ღვთისა და ზეცისა“ ფუტკარაძე დესპანი, წარგზავნილი, მაშვალი. „ვოგოს ბაბოს ელჩ გუეგზავნიან, პირ შეიტყობენ“), „მურავი“ (იგივეა რაც ელჩი და შემავალი-საქორწინო წყვილთა შერჩევის დროს, შუამავალი, მაჭანკალი), „შემავალი“//შუამავალი (შემავალი - საქორწინო წყვილთა შერჩევის დროს, წყვილთა დაქორწინების პერიოდში, შუამავალი. ტერმინი ძირითადად ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში იყო გავრცელებული, მგელაძე 1985). თუმცა, სამივე ტერმინი ცნობილია მთელი აჭარისათვის, „ელჩი“ უფრო ხულოსა და ქედის რაიონების საქორწინო ლექსიკაშია საკმაოდ გავრცელებული, „შემავალი“ და „მურავი“ ბათუმისა და ქობულეთის.

წყვილთა დაქორწინების საქმეში მაჭანკლის - ელჩის როლი განსაკუთრებული იყო. იგი ნათესავიც შეიძლება ყოფილიყო და არანათესავიც, მემობელიცა და მოყვარეც, მაგრამ, ხშირად პატივსაცემსა და გავლენიან, ორივე მხარისათვის მონათესავე პიროვნებას ირჩევდნენ, რომ ქალის პატრონს, მისთვის უარის თქმა გასჭირვებოდა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც ეკონომიკური საკითხის წამოჭრის შემთხვევაში, ელჩი ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობდა. იგი მოითხოვდა გამოსასყიდს - „ბაშლულს“ (ბაშლული - თურქული (baslik) - ფული, რომელსაც ქორწინებაში ქალის მხარე ართმევს ვაჟის მხარეს; (ზ. აჭარ.). 1. ყაბალახი, ბაშლაყი, 2.საცოლის დანიშნვის დროს გაღებული საჩუქარი, ქრთამი ქალის მშობლებისათვის -

შ. ნიჟარაძე; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი - ყალიმი; მარი - ხელდასადები), „რიშვეთს“ (რიშვეთი - თურქული (rusvet) - ქრთამი. ვაჟის ოჯახის მიერ საცოლემი გაღებული გამოსასყიდი; ღლონტი - ქრთამი) თუ სხვას, რომელიც ხანდახან, ზემო აჭარაში ქორწინების პირობასაც წარმოადგენდა. ყველაზე მდიდარი მასალა აღნიშნულ საკითხზე ზემო აჭარის ხეობაში - რიყეთში, ჭვანაში, სხალთის ხეობაში გვხვდება. აჭარისწყლის ხეობაში კი ბაშლულის მოთხოვნა უარის თქმის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ელჩობის დროს, ამ საქმისთვის უპირატესობა საცოლის სიძეს და დედის ძმას - „ტაიას“ (ტაია - თურქული (dayi) - ბიძა, დედის ძმა, სიტყვა აჭარულში თურქული ენიდანაა დამკვიდრებული, მგელაძე; ფუტკარაძე - დედის ძმა, ბიძა. „ჩვენა ტაიაი ვიცით“ , „ნენეს ძმას ტაიას ვეტყვი“) ენიჭებოდა. ზემო აჭარაში დისშილის გათხოვებაში ტაიას უფლებები მშობლების უფლებებს უტოლდებოდა. ამაზე მიუთითებს აჭარის ფოლკლორში შემორჩენილი პატარა ნადური ლექსიც, სადაც ქალიშვილი მის გათხოვებაზე უსაყვედურებს ერთ ვარიანტში მამას, მეორეში - დედას და მესამეში - „ტაიას“: „ტაიაჩემმა არ გამათხოვა კისერმოსატეხელმაო“ (ა. მსხალაძე, 1969:37-38). სწორედ ამიტომ, რაკი ტაიასთან მისვლა მაინც აუცილებელი ხდებოდა, ვაჟის მშობლები ხშირად თავიდანვე მას თხოვდნენ ელჩობას. ელჩი საპატარძლოს ოჯახში „მაგარი“ (მაგარ დღედ პარასკევი და შაბათი დღე ითვლებოდა) დღის, - კვირის საღამოს მიდიოდა და მისვლის მიზეზს განუცხადებდა, რომ „ამომავალ კაცს (ვაჟის მამას) შენთან დადოსტება (დადოსტება - დამოყვრება, დანათესავება, დამეგობრება - ნიჟარაძე, „ძველ მტრობას დეიბინყებენ და დიედოსტებიან ერთმანებ“) უნდა და რას იტყვიო“. როგორც არ უნდა ყოფილიყო ამ ქორწინებაზე მშობლების აზრი, ელჩს უპასუხოდ უშვებდნენ და მოფიქრებისა და ძმა-ბიძების აზრის გასაგებად დროს თხოვდნენ.

იმ შემთხვევაში, როცა ელჩი ვერ დაითანხმებდა გოგოს მშობლებს, მთხოვნელთა ოჯახი კი სოფლის საერთო პატივისცემით სარგებლობდა, სოფლის თავკაცებიც ერეოდნენ საკითხის გადაწყვეტაში, რაც მთელი სოფლის თხოვნას გამოხატავდა.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველი „დამპირებელი“ პირველობის ფაქტით პრივილეგირებულ მდგომარეობას იჭერდა სხვა მსურველთა შორის. სხვა ოჯახი იმავე ქალს მაშინვე ველარ დააპირებდა. ამას შეიძლებოდა პირველ დამპირებელთან მტრობაც კი მოჰყოლოდა. ასეთ შემთხვევაში თანასოფელელთა ურთიერთ გადამტერების აცილების მიზნით, სოფელი თვლიდა, რომ ქალის ოჯახს ყველა მათგანისთვის უნდა ეთქვა უარი.

ელჩის მეორედ მისვლამდე საპატარძლოს ოჯახი ცდილობდა „მთხუელთა“ ოჯახის „გაკითხვას“ (გაკითხვა - საქორწინო წყვილის და მათი ოჯახების ვინაობის გაგება, ბექაია), „გაჩხრეკვას“ (გაჩხრეკა - დაწვრილებით რისამე გაგება, საბა - გამონულივით განხილვა). არკვევდნენ როგორც ოჯახის წარმომავლობასა და პატიოსნებას ასევე, ეკონომიკურ მხარესაც: „ერთი გოგომშვილი მყავდა და იმასაც ფუხარას რაფერ მივცედი“ (ფუხარა // ფუხრობა - სიღარიბე. „ზაათი იმფო ფუხრობა იყო, ახლა ძვილაი გავახილეთ თუალები“). ელჩი ოჯახში შესაძლოა რამდენჯერმე მისულიყო გოგოს სათხოვნელად. შეთანხმების გაძნელების შემთხვევაში *ელჩობა* 2-3 წელიწადსაც გასტანდა. მთელი ეს პერიოდი კი „დაპირებად“ იწოდება (დაპირება - შუამავლის მიმოსვლა საქორწინო ოჯახებს შორის, ნიშნობამდე და საქმის კეთილად დასრულების ცდა, ქორწინებაზე წინასწარი შეთანხმება). ელჩობის მთელი ინსტიტუტის ადგილობრივი მასალების განხილვით ჩანს, რომ აჭარაში იგი დამოუკიდებელ ხელობად, მაჭანკლობად ჩამოყალიბებული არ ყოფილა.

ამრიგად, ოჯახის შექმნის პირველ საფეხურს აჭარულ წეს-ჩვეულებებში „დაპირება“ ანუ პარტნიორთა შერჩევა წარმოადგენს. მოცემული საფეხური საკმაოდ მრავალფეროვანი ლექსიკური ერთეულებით არის წარმოდგენილი, აჭარის მთლიან ტერიტორიაზე. მას უკავშირდება აგრეთვე, ბევრი ფთიანი გამონათქვამიც, რომელიც ხალხის მესხიერებას ჯერ კიდევ შემორჩენია.

ძირითადად ლექსიკა თანხვედრას იჩენს საერთო ქართველურ ლექსიკურ ერთეულებთან, თუმცა უცხოური, კერძოდ თურქული ერთეულებიც არ არის უცხო.

§ 2. ნიშნობა და მასთან დაკავშირებული აჭარული დიალექტიზმები

ნიშნობა ქორწილის წინამდებარე ეტაპია, რასაც განმსაზღვრელი ადგილი უჭირავს წყვილის დაქორწინების საქმეში. ნიშნობის სიმბოლიკა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოქმედებდა და დღესაც სახეცვლილი განაგრძობს არსებობას. იგი საქორწილო რიტუალის მეტად მნიშვნელოვანი ეტაპია, რომელზედაც წყვილთა მომავალი ბედია დამოკიდებული. ქალ-ვაჟის დანიშვნა შეიძლებოდა ყოველ ასაკში. გადმოცემით, წინათ ხშირი ყოფილა მცირეწლოვანთა დანიშვნა, ერთმანეთის დადოსტებით (დადოსტებით//დამოყვრებით - დამოყვრებული, დამეგობრებული. „მაგონი ერთმანებს რატომ უფუშტებენ, ბალნობიდან ერთმანებზე არიან დადოსტებული“) დაინტერესებული ოჯახები, ხუთი - ექვსი წლიდან ნიშნავდნენ ბავშვებს. იგი საკმაოდ დიდხანს ცოცხლობდა აჭარაში, რომელიც აქა-იქ 21-ე საუკუნის დასაწყისშიც იჩენს თავს გადმონაშთის სახით.

აღსანიშნავია, რომ ქალი დანიშნულად მხოლოდ სანიშნის გადაცემის შემდეგ ითვლება. აჭარაში ნიშნის დადების სიმბოლოდ ძირითადად გამოიყენებოდა ბეჭდის ან „ალთუნის“ - ოქროს მონეტის, **ბეშბილის** (ბეშბილი -თურქული (bes - ხუთი, bin - ათასი) ხუთი ათასი ლირის ფარდი ოქროს მონეტა, რომელსაც გულზე იბნევდნენ სამკაულად. ძველი ფულის ერთეული. „ალთუნის ზენჯირში ჩაბმული ბეშბილი გულზე შესაბამელია, წინწინ იყო ადეთი, ახლა აღარ იბმენ“ - ფუტკარაძე) დატოვება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქალის დასანიშნ საშუალებად საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა საგანი გამოიყენებოდა (მაგ., დანა, ტყვია, ხელსახოცი და სხვ.). სამაგიეროდ, ქალის ოჯახი სასიძოს ოჯახს საჩუქრებს უგზავნიდა (მაგალითად, წინდებს). პირველი საჩუქრების გაცვლა „**ბე//ბეჰის**“ (ბე|| ბეჰი - 1) წინასწარი ნიშანი, 2) სასიძოსთვის ქორწილზე მირთმეული საჩუქარისაცოლის ოჯახისგან, ბეჰია; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი - ბე) სახელწოდებითა ცნობილი და დანიშვნის საწყის საფეხურს წარმოადგენდა. შემდეგ მიჰქონდათ ნიშანი. რამაც ჩაანაცვლა და გამოდევნა კიდევ ბე//ბეჰის საჭიროება ნიშნობის წესებიდან. სწორედ, ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ აჭარის ზოგ ხეობაში **დაბევება** (დაბევება//დაბელგვა - წინასწარ დანიშვნა, დანიშვნის პარალელურად

იხმარებოდა) სრულიად გაუგებარია ქორწინებასთან დაკავშირებით. „ბე/ბეჰის“, დანიშვნის საწყისი საფეხურის ადგილი კი დაიკავა „*სიტყვის გამოტანა*“.

აჭარელთა ნიშანში აუცილებლად შედიოდა სამკაულები: ბეჭდები, ბელეზული, ალთუნები, რომელსაც დანიშნული შუბლზე იკიდებდა. „კარგი ნიშნის“ სიმბოლოდ ითვლებოდა ვერცხლის ქამარი, *ქემერი* (სპარსული (kemer) ქამარი). „ნენეს ერთი კაი, ხასი გუმიშის ქემერი ქონდა“. ქორწინებასთან დაკავშირებული წესი თუ საფეხური სავსე მთვარეზე და კვირის „მაგარ“ დღეებში უნდა მომხდარიყო. საპატარძლოს მხარისაგან სასიძოს სახლში მას ნიშნობის შესაძლებელი თარიღის შესახებ შეთანხმებაზე დასტური ანუ „*სიტყვის გატანა*“ ერქვა. საპატარძლოს ოჯახი ნიშნობას სპეციალური სამზადისით ხვდებოდა, „პურობა და სეირი“ მთელ ღამეს გასტანდა ხოლმე, მას ნიშნის ქორწილს, ნიშან-ღუგუნსაც უწოდებდნენ.

გემო აჭარაში ქორწინების ოფიციალური გაფორმებას, მუსულმანური წესით - „აღდის გაჭრა“, „აღდის გაკვეთა“ ეწოდებოდა. იგი შეიძლებოდა გაკვეთილიყო ნიშნობაზე, ნიშნობის შემდეგაც და ქორწილზეც. ძირითადად, მთელ აჭარაში ქორწინების გაფორმების ეს ტრადიცია ხდებოდა ქორწილზე, ქალის წაყვანის დროს. თუმცა გადმოცემის თანახმად, იგი ნიშნობაზევე უნდა გაკვეთებულიყო. რადგან ძირითადად, ეს განსაზღვრავდა ქორწინების ზოგი საფეხურის არსებობა - არ არსებობას. შემდეგ კი გადაეცემოდათ ქორწინების დოკუმენტი „*ნიქახი*“ (თურქული (nikah) ქორწინების დოკუმენტი; არაბულად - დაქორწინება).

წყვილთა ნიშნობამდე არაერთი ტრადიციული *ადეთი* (თურქული (adet) 1.წესი, ჩვეულება, ტრადიცია) არსებობდა, რომელთა გათვალისწინება სასურველი, ხოლო ზოგიერთი მოთხოვნის დაკმაყოფილება სავალდებულოც კი იყო.

დანინდვა ნიშნავდა გოგოსა და ბიჭის მშობლების, „გობეგის“ (გობეგი - თურქული (gobek) შთამომავლობა, ნათესაობა. „რამით გობეგზე ერთმანებზე ვართ?“; „ხისიმობას შუიდ გობეგზე გასლამდინ მონახვენ, ჭინსაც“. ჭიპი, ჭიპისმაგვარი სახე, ნახიში, ფიგურა. „ქილიმის ჭრელებში გობეგია ჩადებული!“ - ფუტკარაძე; ნიჟარაძე (გემო აჭარული) 1.ჭიპი; 2. საბნის გული; 3. კარგი, მისადგომი საყვანე ადგილი, სადაც ქარი არ უდგება;

ბეჭაია - შთამომავლობა, ჭიპი) შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ მათი შვილები, როცა გაიზრდებოდნენ, ერთიმეორეზე იქორწინებდნენ. ამ წესს დიდი ნაკლიც ჰქონდა: ზოგჯერ საქორწინო ასაკს რომ მიაღწევდნენ, გამოირკვეოდა, რომ ქალ - ვაჟი ერთმანეთის შეუფერებელი იყო, თუ გლეხობაში ვაჟს უფლება ჰქონდა უარი ეთქვა შეუფერებელი საცოლის შერთვაზე, ქალს ეს არ შეეძლო. აქედან მომდინარეობდა ე. წ. **ძლის ცოლობა**, რაც იმას ნიშნავდა, რომ დანიშნული ქალიშვილი თავისი სურვილის წინააღმდეგ, ცოლად უნდა გაჰყოლოდა შეუფერებელ საქმროს ან, თუ გაათავისუფლებდნენ, სხვაზე გათხოვებას აუკრძალავდნენ.).

დანიშნვის რამდენიმე ფორმას იცნობს აჭარული საქორწინო ტრადიცია, რომელთაგან წარსულში უფრო გავრცელებული იყო გასათხოვარ გოგონაზე მხრებზე **ხელისდაკვრით** თუ მანდილის - **იაშმის მოხდით** დათავისება. ვაჟი ასეთ დროს ელოდა და შესაბამის ვითარებაში მისთვის სასურველ ქალს თავსაბურავს მოხდიდა, ან მხარზე მსუბუქად ხელს დაკრავდა. შემდეგ თავსაბურავს - **იაშმას** ინახავდა. საქორწინო ურთიერთობაში „ხელისდაკვრით“ დანიშნვა (იველაშვილი 1999:71). ხელის დადებით ქალის დანიშნვა დასტურდება არა მხოლოდ ზემო აჭარაში, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებსა და კავკასიის არაერთი ხალხის საქორწინო ურთიერთობის სფეროშიც.

დანიშნვას მოსდევდა ქორწინების შემდეგი საფეხური_ „ნიშანლობა// ნიშანლობა (ნიშანლობა - (სპარსული) ზემო აჭარაში დასტურდება, ვაჟის მიერ ქალის დანიშვნა, ნიშნობა. შ. ნიჟარაძე; სასიძოს მიერ საცოლის ნახვა ქორწილამდე და ცოლქმრული ურთიერთობის დამყარება; ნიშანლობის ხანგრძლივობა ზოგჯერ სამ წელსაც კი აღწევდა და „ქალი ქორწილზე ბავშვით მოდიოდა“ (მსხალაძე, „აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები“, 1966:73).

ნიშანლობის პირველი დღე „**დაჰაიჯნა**“- სასიძოს პირველი მისვლა საცოლის ოჯახში, თავისი სამზადისით თითქმის ქორწილს უტოლდებოდა.

დანიშნულთა შეხვედრები ქალის ოჯახშივე ხდებოდა. ნიშანლობა დაიშვებოდა, მხოლოდ აღდის გაჭრის შემდეგ (აღდის გაჭრა - ქორწინების ოფიციალური

გაფორმება; ნიჟარაძე - აღდი//აღდის გაჭრა თურქული: (ahdi) - შეთანხმებული, (ahit) - ვალდებულება, შეთანხმება; არაბული: დაპირება, ვალდებულება, შეთანხმება) აღდგაკვეთილ დანიშნულებს ტერმინოლოგიურადაც განასხვავებდნენ და „აღდღი“ (-li თურქულში გამოხატავს რაიმეს მქონებლობას. იგი -იან სუფიქსის ტოლფასია) - აღდგაკვეთილი ეწოდებოდათ. ნიშანლობა არის სასიძოს საპატარძლოს ოჯახში მალული ვიზიტები, რომელიც არასასურველ საქციელად აღიქმებოდა. ასეთი ვიზიტების შედეგად ნაადრევად დაბადებულ ბავშვს **სასელათი** (სასელა აჭარულ დიალექტში ნაადრევ მსხალს ნიშნავს) აღნიშნავდნენ. აღნიშნულ საკითხზე, როგორც ადრეული საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის დამახასიათებელ მოვლენაზე, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდნენ მზია ბეჭაია და ვლადიმერ მგელაძე. ვლადიმერ მგელაძე, სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული თვალსაზრისის კვალდაკვალ, აღნიშნულ ჩვეულებას დედისეული ოჯახის ნაკვალევად მიიჩნევდა და ამ წესს მთის აჭარაში **ურვადისა** და მზითვის არსებობით ხსნიდა (მგელაძე, 1996:226).

მზითვეი//სათავნო//სათავისთავნო - მთელი აჭარისათვის იყო დამახასიათებელი, მაგრამ სრულად იგი ზემო აჭარას შემორჩა (განსაკუთრებით ღორჯომის ხეობაში). ქვემო აჭარაში ნიშანლობა მეტ-ნაკლებად ფუნქციონირებდა, ხოლო კინტრიშის ხეობაში კი, საერთოდ არ დადასტურებულა.

ნიშნობის შემდგომი ერთ-ერთი საფეხური „ნახველობა“ დამახასიათებელი იყო აჭარის ყველა ხეობისათვის, რომელიც დაუკავშირდა რელიგიურ დღესასწაულს - ბაირამს. ამიტომ, მას **„ბაირამლულსაც“** უწოდებენ. ნახველობის დროს ხდებოდა ბოხჩის (ბოხჩა - წინასაქორწილო საჩუქრები დედოფლისათვის საქმროს ოჯახისაგან, საქორწილო ჩასაცმელის სრული კომპლექტი; ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი - საქორწილო; **ბეგელუდი//ბილეზუკი** - შესაკრავი სამაჯური, ფართო, წრიული იყო და ხელის მტევანში მთლიანად თავსდებოდა) მიტანა პატარძლის ოჯახში ნიშანლობის მსგავსი მოვლენაა, რაც სასიძოს სასიმამროს სახლეულში ფარულ სიარულსა და დანიშნულთა ქალის ოჯახში თანაცხოვრებას გულისხმობდა, იგი

საქართველოს სხვადასხვა კუთხისა და კავკასიის ხალხებისათვის იყო დამახასიათებელი და „ნიშნის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

ნიშნობის ტრადიციას აჭარაში ბევრი გამოთქმა უკავშირდება, იგი ხასიათდება სპეციფიკური თვისებებით, როგორცაა **ოჯახზე დაჯდომა** (ზემო აჭარა, საქორწინო ცერემონიის გარეშე ქალის (საცოლის) მისვლა საქმროს ოჯახში - ნიჟარაძე), **მოტაცება**, **ჩასიძება** || **ზედსიძება** (სიმამრის ოჯახში ჩასიძება).

დანიშნა და მასთან დაკავშირებული მოვლენების საფეხურებრივი მიმდინარეობა არ სრულდებოდა ოჯახზე დაჯდომის შემთხვევაში. **ოჯახზე დაჯდომა** //დაჯდომა გულისხმობდა *გოგო შვილის* მისვლას ვაჟის ოჯახში და თავის გამოცხადებას მათ რძლად. ამ ფაქტის აღსანიშნავად ტერმინი „**დაუდუმლება**“ იხმარებოდა. ეს საპატარძლოს სურვილზე იყო დამოკიდებული.

აქვე მოვიყვანთ ერთ-ერთი აჭარელი ინფორმატორის ნაამბობს, რომელიც „დაუდუმლების“ მიზეზს შემდეგნაირად ხსნის: „ჩვენ დროს ძნელი იყო გათხვება, თქვენ ჭკუაზე რომ ეშტაკუნებით ახლა, რაფერ იტყოდი ხმამაღლა და შენ ქეიფად გეეთხვებოდი. სხვაზე აპირებდენ ჩემ გათხვებას, გინდოდა არ გინდოდა ვინ გკითხავდა, ეიდა გამთენიოს ავდექ და მე რომ მიყვარდა შევპარე იმის სახლში. ოდი კარში კაბი ყური მოვამწყრიე, რომ დედ-მამამთილი მიმხვდარიყო გელინი მიველ სახლში. ბარსამი ეზიეთი ვნიე ჰამა ჩემ ქეიფაი გევეთხვე...“ გადმოცემის თანახმად არსებობს მეორე სახეც „დაუდუმლებისა“, როდესაც ვაჟი კატეგორიულ უარს აცხადებდა მისთვის შერჩეული ქალის დანიშვნაზე, ოჯახი დაინტერესებული იყო ამ გოგო შვილის ოჯახთან დამოყვრებითა და რძლობით. ასეთ დროს მშობლები ვაჟისგან ფარულად უთანხმდებოდნენ სარძლოს მართო მისულიყო მათ ოჯახში და თავი მათ რძლად გამოეცხადებინა. ასეთი განზრახვით მისული რძლის უკან გაბრუნება კი თითქმის ცოლის გაშვებას უთანაბრდებოდა, რაც ცოლის ოჯახთან დაძაბულ ურთიერთობას წარმოშობდა, ამიტომ ვაჟი იძულებული ხდებოდა, ოჯახისთვის ანგარიში გაეწია და ცოლად ეცნო. ოჯახზე დაჯდომა, მხოლოდ შ. ნიჟარაძეს აქვს აღნიშნული „ქართული ენის ზემო აჭარული დიალექტის ლექსიკონში“. ზოგჯერ ეს ქალის მშობლებთან

შეუთანხმებლად ხდებოდა, რაზედაც იტყვიან „გადააჩეჩდა თავზე, დუუუდავო“ (ნიჟარაძე, 1961:244). ასევე, დასტურდება შემთხვევები, როცა დაუდუმლება, თვით დასაქორწინებელი ვაჟის (დელიყანლის) ინიციატივას გულისხმობდა: თუ ოჯახები ვაჟის სურვილის წინააღმდეგი იყვნენ, ახალგაზრდები მიმართავდნენ დაჯდომის წესს.

ქორწინების უძველესი წესი გახლდათ ქალის მოტაცებით ქორწინება, მართალია, არაიშვიათად, მაგრამ მაინც მიმართავდნენ მოტაცებას „მოტაცნას“. ძირითადად ეს მაშინ ხდებოდა, როდესაც დაპირების ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა. რასაც ხშირად მკველელობაც კი მოჰყვებოდა. ეს იყო მიღებული ჩვეულების დარღვევა და უფროსების შეურაცხყოფაც. მოტაცნაში იგულისხმებოდა, როგორც „ძალით წაგვრა“, ასევე წინასწარ შეთანხმებული ქალის გაპარვა ოჯახიდან. „მოტაცნა-მოპარვად“ ითვლება აგრეთვე, დანიშნულის გაპარება, „ფანჯრიდან გაშპენაც“. ყველაზე ხშირად იტაცებდნენ გზაში; უსაფრდებოდნენ და თავს ესხმოდნენ, „პირში იაზმას ჩაპეჭვიდნენ და გაარბენინებდნენ“. დანიშნულის მოტაცება „მოპარვის“ შემთხვევაში სხვების ჩარევა არ ითვლებოდა საჭიროდ. სანიშნალოდ მისული კაცი გათენებისას უბრალოდ თან გაიყოლებდა ქალსაც. ასეთი შემთხვევების გარდა მოტაცებას აუცილებლად მღვერების დადევნება მოჰყვებოდა ხოლმე. ამიტომ ქალი პირდაპირ საქმროს სახლში არ მიჰყავდათ. „ქალის მოტაცნა“ ხშირად მკველელობამდეც მიდიოდა, თუკი ვერ იპოვიდნენ სასიამაო ხანდახან მომტაცებელს შესარიგებელ თანხას „დასარიგებელს“ თხოვდა. ამ უკანასკნელს „ბაშლულს“, „რიშეთსაც“ (ქრთამი) უწოდებენ (ბეჟია, 1974:30-32).

აჭარაში ქალის მოტაცების შესახებ ცნობებს ვხვდებით სახოკიასთანაც, რომელიც გვიდასტურებს, რომ მას ზოგჯერ მძიმე შედეგი (მაგალითად, შურისძიება, მკველელობა) მოჰყვებოდა. ხშირად, ქალს ამანეთად აგზავნიდნენ. ამანეთი მოტაცებული და მშობლების მიერ უკან წამოყვანილი ქალია, რომელიც მდგომარეობის გარკვევამდე, მშობლების თუ მომტაცებლის ოჯახის გავლენის აცილების მიზნით ცხოვრობს თავის რომელიმე გავლენიან ნათესავთან (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი -

ამანათი, 2.მძევალი, 3. მიბარებული; ღლონტი - ამანეთი ხიზანი, შემოფარებული, უმინანყო).

მოტაცება, როგორც ცნობილია არსებობდა საქართველოს სხვა კუთხეებშიც. ივ. ჯავახიშვილი ისტორიული საბუთების ანალიზის შედეგად აკეთებს დასკვნას, რომ წაგვრის წესი ოდესღაც ქართველ ერსაც უნდა სცოდნოდა (თ. სახოკია,1950:140-141, 217).

„გედსიძობა“, „ჩასიძება“, დამახასიათებელი იყო არა მარტო გემო აჭარისათვის არამედ, რამდენიმე მაგალითის მიკვლევა თითქმის ყველა ხეობაშია შესაძლებელი. იგი გადმონაშთს სახით აქა-იქ დღესაც შეინიშნება. აღსანიშნავია, რომ გედსიძობის ინიციატივა ქალის ოჯახისგან მოდიოდა, რომელსაც ვაჟი არ ჰყავდა.

ამრიგად, ქორწილის წინამძღვარია ნიშნობის ეტაპი, რომელიც გარკვეული სახეცვლილებით დღესაც განაგრძობს არსებობას, რაც ტრადიციულად გამოიხატება ოქროს მონეტის - ალთუნის დატოვებაში. თუმცა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე განსხვავებული დასანიშნი საგანი გამოიყენებოდა.

საქორწინო ტრადიციას აჭარაში ბევრი უცხოური ტერმინი უკავშირდება: **ჯეიზი** (სპარსული), **ურუბა** (ტანსაცმელი), **ბაირამლული** (ნახველობა), **ბეგნიშანი** (არაბული (pay), წინასწარი ნიშანი, ბე, ნიშნობის წინა რიტუალი, ქალიშვილის მშობლების თანხმობის ნიშანი. „ბეინიშანზე დადიები წევლენ“), **ყისმეთი** (არაბული (Kismet) ბედი, ბედისწერა,წარმატება. „შენი ყისმეთი არ ყოფილა“; ღმერთმა ყისმეთი გაგისადა აქ მოსვლა“ ფუტკარაძე)... გარდა ამისა, ცალკე ნიშნობის ტრადიციასთან არაერთი გამოთქმაა დაკავშირებული, რომელიც ხასიათდება სპეციფიკური თვისებებით, როგორებიცაა: ოჯახზე დაჯდომა, მოტაცება ჩასიძება და სხვა. რაც შეეხება ლექსიკურ ერთეულთა წარმომავლობას გვაქვს როგორც საკუთრივ ქართული, ასევე, უცხოურიდან ნასესხები სიტყვები.

§ 3. ქორწილი აჭარაში და მასთან დაკავშირებული დიალექტიზმები

ნიშნობის შემდეგ დასამოყვრებელი ოჯახებისა და საქორწინო წყვილისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ქორწილის დღე - იგივე, თურქულის გავლენით დამკვიდრებული - **დუგუნი** იყო - განმარტებით ლექსიკონში „dügün“-ი ძირითადი მნიშვნელობით ნიშნავს „ქორწილს“, „ლხინს“, ხოლო გადატანით - ბავშვის დაბადებასთან და წინადაცვეთის რიტუალთან დაკავშირებულ ლხინს (ლექსიკონი 2005: 1828).

შ. ნიუარაძე აღნიშნავს, რომ დუგუნ-ი აჭარულ დიალექტში თურქული გზით დამკვიდრდა. აჭარულ ლექსიკონში სუნნეთ-დუგუნის მნიშვნელობით არის განმარტებული. ქორწილები უფრო ხშირად შემოდგომით იმართებოდა. ახალ მთვარეს ქორწილს არ ატარებდნენ. პატარძლის წამოსაყვანად რამდენიმე ადამიანი, ყველაზე ახლო ნათესავ-მეგობრები და მაცრები (საბა - ძმადი) მიდიოდნენ. აუცილებლად მიყვებოდა ერთი ქალიც „ხელმომკიდე // დადიანი // დადე“ (დადე//მდადე- მეჭვარე; საბა მდადი//დადი_ დიაცი სძლის მაყარი; ფუტკარაძე - მდადე, ქალი მაყარი. „ჩემი დადე ზეციე-აბლა იყო“). გადმოცემით, ხელისმომკიდეს ხელისმტაცნელიც ეწოდებოდა.

დადენვევლები - მდადეები გადმოცემით, წინათ მხოლოდ ერთი მიდიოდა დადედ, შემდეგ კი მათი რიცხვი მნიშვნელოვნად გაზრდილა. ერთი დედო - დადედ, **ბაშდადედ** (ბაშდადე (basdadi) პატარძლის უფროსი მდადე, ქალ-მაცართა შორის უფროსი. „ბაშდადე ყველაზე კარგ საჩუქვარს უზამს დოდოფალსა“ - ფუტკარაძე; ბექაია - ქორწილის დღეს სიძის ოჯახიდან გაგზავნილი სიძის ახლო ნათესავი ქალი, უფროსი მდადე, რომელსაც დედოფალზე ზრუნვა ევალებოდა) იწოდებოდა, სხვები კი მის შამამნირავებად, **დადენვევლებად** (ბექაია 1974).

საქორწინო ტრადიციებში დადეს (დადიანის) პერსონა დიდ ყურადღებას იქცევს. მათ ქორწილისა და ქორწინების პროცესში უაღრესად საპასუხისმგებლო მოვალეობები ეკისრებოდათ. დადე სასიძოსაც ყავდა და საპატარძლოსაც. პატარძლის მხრის დადე, დასაშვებია, მისი თანატოლი - მეგობარი ყოფილიყო, მაგრამ ძირითადად ამ საპასუხისმგებლო მოვალეობას უფროსი ქალი, ხშირად, ბიცოლა ასრულებდა. საერთოდ, ქორწინების პერიოდში დადეობა დადეს სახელწოდებით მთელ სამხრეთ საქართველოში, განსაკუთრებით, ჭოროხის აუზის მოსახლეობაში ფართოდ იყო გავრცელებული. პატარძლის ოჯახი შედარებით პატარა ქორწილს აწყობდა, რომელიც - „ტურა-ქორწილის“ - პატარა ქორწილის სახელწოდებითაა ცნობილი. ქორწილამდე ერთი-ორი დღით ადრე, პატარძლის ოჯახს უგზავნიდნენ „**ძღვენს**“ - სურსათს. საჩუქრად მოჰქონდათ აგრეთვე საოჯახო ნივთები და ფული - **შესანევი**, მიწერილი ძირითადად დედოფლისათვის მირთმეულ საჩუქრებს გულისხმობდა, ხოლო ძღვენი - შესანევი ოჯახისადმი დახმარებას სურსათით თუ ფულით.

საყურადღებოა, რომ ცალკე გამოყოფდნენ „**ძღვნის ქორწილს**“ და „**ფარის**“ ანუ „**მისალოც ქორწილს**“. დადენვევლების სუფრის აუცილებელი კერძი იყო „**ერიშტა**“. (ერიშტა თურქული - სპარსული (eriste) პურის ცომის თხელი და წვრილი ნაჭრები, ერბოში მოშუშული შაქრით ან თაფლით; დადენვევლების სუფრის ერთ-ერთი აუცილებელი თავი - ნიჟარაძე)

ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში არაერთი მსგავსი ისტორიაა შემორჩენილი. აი, რას ყვება სოფელ კანტაურში მცხოვრები ლამარა ხალვაში.

„ნიშნობა ხდებოდა ისე, რომ გოგო და ბიჭი ერთმანეთს არ იცნობდნენ. ქორწილის შემდეგ გაიცნობდნენ ერთმანეთს. ქორწილი ღამით იცოდნენ. თუ შორი იყო, დედოფალი მორთულ-მოკაზმული ცხენით მოყავდათ, თუ ახლოს იყო – ფეხით. დედოფალს ტანზე ჩერჩეფი (ჩადრი) ჰქონდა მოხვეული. პირზე ფეჩა (პირბადე) ჰქონდა ჩამოთარებული, რომ არვის დეენახა. დედოფალს ორი დადე (მეჯვარე) ჰყავდა. ეს დადეები დედოფალს ცავდენ, არავის დაანახვებდენ. ეზოში რომ მიიყვანდნენ, დედამთილს ღუუძახებდენ და ასე მუუმღერებდენ:

„დედამთილო, გამოგვხედე,
მოგიყვანეთ სახლის რძალი,
ავი თვალით თუ შეხედო,
ძალღმა გახრას შენი ძვალი“.

დედამთილი რძალს კენჭი შაქარს გადააყრიდა (მაშინ კანთეტი ნაკლები იყო). საინს გაატეხიებდა, კარებზე დანებს მიასობდენ და შეიყვანდნენ სახლში, მიიყვანდნენ კერაზე, ხელს მოასმევიებდნენ და ასე ეტყოდნენ: ეს კერა შენიაო.

მერე დედოფალს ფარდაში დააყენებდნენ და ფეხებთან ძირს ფეშკირს (პირსახოცს) გუუგებდნენ. ვინც დედოფალს ნახავდა, ფარას აჩუქებდა და ფეშკირზე ღუუდებდა. დედოფალი მადლობის გადახდით თემენას გუუკეთებდა. ბოლოს დედოფლის ძმას უნდა ეყხადა სახეზე ფეჩა, მაგრამ ამ ფეჩის ახდაში მამამთილს ბევრი ფარანა მიეცა. მაყარი დილამდის სმა-ჭამით ირთობდა თავს. ქორწილის შემდეგ ამ ფეშკირს გაჭირვებულს მისცემდნენ,“ – ეს ისტორია ლამარა ხალვაშისგან წონიარისის კულტურის სახლის დირექტორმა თამარ ბოლქვაძემ 2012 წელს ჩაინერა.

პატარძალი ქორწილის დღეს საგანგებოდ ემზადებოდა და იკაზმებოდა. საქორწილო ჩასაცმელი „გელინლუი“ (გელინლუი - თურქული (gelinlik) სადედოფლო კაბა) ჩვეულებრივი ჩასაცმელისაგან არ განსხვავდებოდა. კაბის ზემოდან აცმევდნენ ხავერდის მოკლე, წელში გამოყვანილ, ამოქარგულ ან მონეტებით მორთულ ჩასაცმელს „ჩათაკას“. ჩათაკას ზემოდან იჭერდნენ ვერცხლის განიერ ქამარს - ქემერს. რაც შეეხება დედოფლის თავსაბურავს ჯერ ლეჩაქი ეხურა, ზემოდან კრონი,

შემდეგ თავზე თასმით - **თორით** იაზმას - მანდილს ამაგრებდნენ (იაზმა -თავსაბურავი. ლეჩაქის ქვეშ მოსახვევი თავსაბურავი; თ. სახოკია: ქალებს თავზე შემოკრული აქვთ ჩითივით იაზმა, ზემოთ თავისგარშემო ლეჩაქი, რომლის ერთი ყური წელზეა გადაშვებული, წინ სახეზე შემოკრული აქვთ სინათლის სანახავად თხელი მანდილი - ფეჩა. ყველა ამას გარეშე გადაფარებული აქვსთეთრი ჩადრი თავის დასამალავად“.

სახლიდან გაყვანის დროს დედოფლის თავსაბურავს ემატებოდა სპეციფიკური საქორწინო ელემენტი „**ტუალი//ტვალი“//ლუალი**“ - თურქული (duvak) - დედოფლის საქორწინლო თავსაბურავი - კონუსის ფორმის მუყაოს მაღალი ქუდი ზედ გადაფარებული (უმეტესად წითელი ფერის) ჩადრით, რომელიც ქალს მუხლებამდე ფარავდა; ნიჟარაძე - დვალი; მარი - ღუალი . დედოფლის დადებთან მისალმება აღმოსავლური წესით ხდებოდა - „**თემენას** იჯებოდა (თემენა - თურქული (temenna) მისალმება აღმოსავლური წესით, ხელების გულთან, ტუჩებთან და შუბლთან მიტანით).

გელინი (გელინი//გენილი - თურქული (gelin) რძალი, პატარძალი, მოსული - ნიჟარაძე; ნ.მარი - მოყვანილი) სასიძოს მამისეულ სახლში თავდაბურული მიჰყავდათ. თავსაბურს **ტვალი** ეწოდებოდა. იგი პატარძლისთვის მის წინაშე წარმდგარ მომავალ ქმარს უნდა აეხადა. გადმოცემით, მისი ახდა ხანჯლის წვერით ძმის მიერაც ხდებოდა. ტვალის მოხდის შემდეგ ვაჟის მხარეს საშუალება ეძლეოდა დედოფალს გასცნობოდა, ხოლო ყოველ შემომსვლელს დედოფლისათვის „**პირსანახავი**“ საჩუქარი უნდა მიერთმია. ზემო აჭარაში დედოფლის ტვალით მოყვანა აუცილებელ წესად ითვლებოდა. მოგვიანებით, როგორც ჩანს ტვალი შეუცვლია გამჭვირვალე „ფატას“.

კიბეზე დედოფალს პირველად მარჯვენა ფეხი უნდა შეედგა. ამ დროს სპეციალური სიმღერა გელინო (რძალო) სრულდებოდა, რომელიც გამოხატავს თხოვნას ახალი რძლის მიმართ, რომ ქმარის ოჯახის წევრები საკუთარი ოჯახის წევრებად მიიჩნია (ბექაია 1974, გელოვანი 1983).

ოჯახში მიყვანილ დედოფალი პირველ რიგში ბუხრის წინ მიჰყავდათ და „**ზანდულზე/სკივრზე**“ - (არ. Sandik) სკივრი, ყუთი. „ნენეს ერთი ზანდული ქონდა და

იმში ინახევდა ურუბას“; ჩუბინაშვილი, საბა - ზანდუკი - კილობანს უწოდებენ გლეხნი, სხვათა ენაა; ულენტი - ზანტუკი, ულენტის ჭანურ ტექსტში სანდული) სვამდნენ და ფულად საჩუქარს „ტუტუს ფარას//სანტუტურის// მოსამრთელოს//რძის ფარას“ გადასცემდნენ.ეს იყო მაცრიონის, დედის უფლება გადამტელო მოეთხოვა. ამ მოთხოვნას ბახშიშს//უზანგახშიშს უწოდებდნენ (ბახშიში - სპარს., თურქული (Bahsis) საჩუქარი, გასამტელო (დიალექტ.,653) ალ. ღლონტი, ბაქშიში).

ქორწინების ერთ-ერთ საფეხურს წარმოადგენდა კარის გაღებისათვის გადასახდელი „კარდასამყრელი//კაფიხარჯი//სანტუტური“,

(კარდასამყრელი//კაფიხარჯი - კარის დასაყრელი ფარა - ეთნოგრაფიაში. „პატარძლის წასაყვანად მშობლების სახლში შედის მამამთილი. მაგრამ პატარძლის მამა კარებს ჩაკეტავს და ფულს მოთხოვს მამამთილს კარების გასახსნელად. ამ ადათს დღესაც ასრულებენ იმერხევში, ნაწილობრივ ზემო აჭარაშიც (აჭარაში კარის დასამყრელი - შ. ფუტკარაძე). რომელიც სხვადასხვა რაოდენობისაა აჭარის სხვადასხვა ხეობისათვის. ამ ცერემონიალის შემდეგ მამამთილს დედოფალი გარეთ გამოყავდა და მღეროდნენ სპეციალურ საქორწინო სიმღერას „ორირას“ - მაცრულს (ორირა - ხალხური, მაცრულის ერთ-ერთი სახეობა, ნიჟარაძე). შეძლებული ოჯახის ქორწინებაში დედოფალი ოთხ სარზე დამაგრებული წითელი ძვირფასი ქსოვილის ქვეშ მიჰყავდათ, რომელსაც „ჯიბელუდი“ ეწოდებოდა.

მაყართა შორის თვალსაჩინოა მახარობლის როლი. ქორწილის მახარობელ ვაჟს ატანდნენ დედოფლის მიერ სპეციალურად შეკერილ და დაქარგულ პატარა ბალიშს - „მუჟდე ბალიშს“ (მუჟდა// მუჟდე სპარსული (mujde) სიხარული, სასიხარულო ცნობა. „ქემალას ატელი უქნია მუჟდე უავიზით სახლშიო“; მუჟდე იყოს ეს შენთვინაო“, მუჟდებალიში - სამახარობლო ბალიში). მახარობელს „მუჯდუჯის“ სახელითაა ცნობილი, რომელსაც მასპინძლები მახარობელს შამფურით - შიშლიკით დაასაჩუქრებდნენ, შემდეგ კი მახარობელი ბრუნდებოდა და მექორწინეებს უერთდებოდა. საქორწინო მხიარულების - დუგუნის პერიოდში უკრავდნენ *დავლზე*, *ზურნაზე*. მიღებული იყო გარმონიც. ქორწილისათვის უცხო არ იყო შაირობაც,

რომელსაც აქეთ-იქეთ მდგარი მხარეები წარმართავდნენ, ასევე, გვევობდნენ (გვევობა - თურქული (geveze) ყბედი, მოლაყბე (ზემო აჭარული) წრეს გადასული; თავშეუკავებელი ოხუნჯობა, გვევობას ჩვეულებრივ მიმართავს მაცრის სასიძოს ოჯახიდან ნაქორწილევს გამოთხოვებისას. შ. ნიჟარაძე; დედოფლის მაცრების ჭირვეულობა ნეფის ოჯახში, ქორწილში).

საყურადღებოა, რომ ქორწილში მოჰყავდათ ქორწილისათვის სპეციალურად შერჩეული არჩი//მზარეული (არჩი//აშჩი - თურქული (asci) მზარეული, აქ. ქორწილში დაქირავებული მზარეული), რომელიც ზრუნავდა მაცრიონის სუფრის მრავალფეროვნებაზე. შაირობა და „რუსუმი“ (თურქული - rûsüm გადასახადი; არაბული- მრავალი გადასახადი, ჩვეულება, რიტუალი;ქალის მაცრების მოთხოვნები ნეფის ოჯახში კი დილამდე გრძელდებოდა) დილამდე გრძელდებოდა, ამ დროს დაუშვებელი იყო სროლა ვაჟის მხრიდან - „ალაიას მიცემა“. იგი დიდ შეურაცყოფად ითვლებოდა.

ზემო აჭარული ქორწილის რეპერტუარში დამკვიდრებული იყო ხალხური სანახაობა „ფადიკო“, რომელიც, ფაქტობრივად, ქორწილის ინსცენირებას წარმოადგენდა. „ფადიკოდ მორთული“ კაცის სახუმარო სცენებს თან ახლდა გართობა-მხიარულება, დოღზე დაკვრა და სიმღერა.

ქორწილი და საქორწილო ადათ-წესები საკმაოდ საინტერესო საკითხს წარმოადგენს, როგორც ეთნოგრაფიული ასევე, ენათმეცნიერული თვალსაზრისით. რამდენადაც მოცემულ ეტაპზე უამრავ ტრადიციასთან ერთად გვხვდება შესაბამისი სპეციფიკური ტერმინები. რომელთაგან ზოგი საქორთველოს სხვადასხვა კუთხეებშიც არის გავრცელებული, ზოგი კი მოცემულ დიალექტს შემოუნახავს. სხვა საფეხურთა მსგავსად, აქაც მრავლად არის უცხოური კერძოდ თურქული ლექსიკური ეთეულები, რომელთა არსებობა ისტორიული წარსულიდან გამომდინარე ჩვეულებრივი და მოსალოდნელია.

§ 4. პატარძალი ახალ ოჯახში და მასთან დაკავშირებული აჭარული ლექსიკური ერთეულები

ოჯახში ახალი პატარძლის შემოსვლას თან ახლდა მრავალი რიტუალი, რომელიც რამდენიმე საფეხურად იყოფა. რიტუალის პროცესში ძირითად როლს დედამთილი თამაშობდა. პატარძლისა და დედამთილის შეხვედრა რიტუალიზებურ ხასიათს ატარებდა და მიმართული იყო სიძის ოჯახში ახალი წევრის ჩართვისაკენ. პირველ საქმედ რძალს უკვე დაწყებულ წინდას მისცემდნენ მოსაქსოვად. შემდეგ ახორს დაავგვევინებდნენ, ახორის ბოძებზე - „ლოჯიებზე“ (ლოჯე||ლოჯიები (გურული) სახლის

კუთხე; ხის სახლის კედლები ერთმანეთში ჩაშენებული; ღლონტი - ღოჯი, ერთმანეთში ჩაშენებული ძელების კუთხედი ფიცრულ სახლში) წყალსაც მოასხმევენდნენ საქონელი წყალივით წამოვიდესო. ზოგან კი დედოფალს წყაროზეც გაიყვანდნენ, წყაროსავით წინ წამოვიდესო (ბექაია, 1974). აღსანიშნავია, ასევე ერთ-ერთი რიტუალური საფეხური „პატარძლის აღმა წასვლა“. გადმოცემის თანახმად, პატარძლს პირველად „აღმა წაიყვანდნენ“ სულ წინ-წინ წავიდეს ოჯახის საქმეო.

ერთ-ერთმა მთხრობელმა ასე გადმოგვცა მისი ახალ ოჯახში შესვლისას გავლილ რიტუალური ამბავი: „მე რომ ოჯახში შიმიყვანეს, კარის ზღურბლზე თეფში დიმიდეს და გამატეხვინეს, მერე დედამთილმა ბუხართნ ცომი მიმაცხოვია კედელზე, ეს იმას ნიშნავდა, რომ რაც უფრო დიდხანს გაჩერდებოდა ცომი კედელზე მით კარგი რძალი იქნებოდი. პირველი საქმე დამაწყებინა ხერტალის დაბრუნებით, ხერტალივით ჩქარა იბზრიალებო, მერე ბრინჯი გამარჩევინა, ოჯახში მატება და „ბერექეთი“ შამუაო. (ბერექეთი - არაბული (bereket) - სიკეთე, სიუხვე, მოსავალი).

აღსანიშნავია, რომ ეს წეს-ჩვეულებები ყველა კუთხისათვის განსხვავებული იყო, სწორედ ამას ადასტურებს ზემოთ მოყვანილი ამბავიც. თუმცა კერასთან დაკავშირებულ წესებიდან ყველაზე გავრცელებული და მთელი აჭარისთვის დამახასიათებლად გამოიყურება ბუხრის კედელზე ხელის სამჯერ ჩამოსმა და იქვე გამზადებული, გამომცხვარი ჭადის აღება - არეკვა კეციდან. ნაკლებად ვლინდება შემდეგი წესები: საკიდელზე - კერის უაჭვზე ხელის მოკიდება, პურის ცომში ხელის ჩაკვრა და ცომიანი თითების ჩამოსმა ბუხარზე ან კარის თავხეზე, თაფლში ხელის ჩაყოფა, ღომის მარცვლების მიმოჰწევა კერის წინ, კერის ძირზე რძის მოსხმა და სხვა.

ახალ რძალს ოჯახის ყველა წევრის მიმართ განსაკუთრებული მოკრძალება და პატივისცემა მოეთხოვებოდა. გარკვეული დროის განმავლობაში მას ოჯახის უფროსთან (მამამთილთან) დალაპარაკებაც კი ეკრძალებოდა. ურთიერთობას ბავშვების საშუალებით ამყარებდნენ. დედოფალს ორმოც დღეს არც დედამთილისთვის უნდა გაეცა ხმა.

ქორწილიდან რამდენიმე (მეოთხე ან მეშვიდე) დღის შემდეგ, პატარძალი ტკბილეულობით მამისეულ სახლში წასასვლელად ემზადებოდა, იგი ფეხნაქცევის (ფეხნაქცევი - ფეხნაქცევაი მის[ვ]ლა 1. სასიძოს მეორედ მისვლა (მიბრუნება) დანიშნულის ოჯახში (ზემო აჭარა) 2. გათხოვილი ქალის პირველად მისვლა (მიბრუნება) მამისეულ ოჯახში, „სამშობლოში“ - გათხოვებიდან ორმოცი დღის გასვლის შემდეგ) სახელწოდებითაა ცნობილი. მზია ბეჯაიას შეხედულების თანახმად, ფეხნაქცევი სიძის სიმამრთან სტუმრობას წარმოადგენდა. ეს ჩვეულება სამხრეთ საქართველოსა და ჭოროხის აუზის მოსახლეობაში დღესაც არსებობს.

ქორწილიდან მე-8 (ზოგან მე-15 ან 22-ე) დღეს პატარძლის მშობლები „სადილით“ ესტუმრებოდნენ დოსტებს, ხალხური ახსნის მიხედვით, სადილი მშობლებს მიაქვთ თითქოსდა აქამდე უჭმელი ქალიშვილისათვის. მითანილ სადილს ოჯახი თითქმის მთლიანად მემშობლებს ურიგებდა (ბეჯაია, 1974: 70-71). ასეთ მისვლას საორმოცოდ მისვლასაც ეძახდნენ, რომელიც დღემდე შემორჩენილია შუახვევისა და ხულოს ზოგიერთ სოფელში.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, სყიდვითი ქორწინების უფრო ადრეული ფორმა „მიჰრი“ ,რომელიც აჭარაში „მიჰირის“ სახელითაა ცნობილი. მზია ბეჯაიას თანახმად, მიჰრი ქმრის მიერ ცოლზე სამზითვოდ გამიზნული გადასახადია, რომელსაც, ცოლი ქმარს პირველსავე დღეებში ჩუქნიდა და ვალისგან ათავისუფლებდა.

ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით ზემო აჭარაში (კერძოდ ჭვანისა და ღორჯომის ხეობებში) მიჰირის//მიჰრის ფუნქციონირება შემდეგნაირად ხდებოდა: მამა გათხოვილ შვილთან სტუმრობის, სადილის მითანის დროს მის მამამთილს ეტყოდა - „მიჰირი აჩუქე , ცოდვა არიო“. რძალი შეიძლება სხვადასხვა სახით დასაჩუქრებულიყო. ეს შეიძლება ყოფილიყო ფული, ხეხილი და სხვა. უმეტესად მაინც ხეხილით დასაჩუქრება ხდებოდა, თუმცა ესეც ნაკლებად მოქმედებდა (ჩელევაძე, 2005: 121).

არასასიამოვნო და ცუდის მანიშნებელი იყო, ორმოცი დღის მოყვანილი სხვადასხვა დედოფლის შეხვედრა და დანახვაც. გადმოცემის თანახმად, ამას შეიძლებოდა რომელიმე მათგანის ავადმყოფობა და უშვილობაც კი გამოენვია. ასეთი შემთხვევის თავის აცილების მიზნით, თვალდახუჭულ დედოფლებს ნემსი უნდა გაეცვალათ, ან ერთი თევზიდან დაეღიათ წყალი, რათა არ „დაკოჭვილიყვნენ“ (დაკოჭვილი - აჭარული, გადატანითი - მოჯადოებული, ჯადოთი დაავადებული. „გოგო... დაკოჭვილია, სამი წელიწადია ზე არ ამდგარა“ .

ამრიგად, აჭარაში ისე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეების მოსახლეობაში, ქორწინება რამდენიმე საფეხურიანი იყო, რომელიც პარტნიორის შერჩევიდან იწყებოდა, ნიშნობისაკენ ვითარდებოდა და ქორწილით მთავრდებოდა. თავის მხრივ, ქორწილი და საქორწილო რიტუალიც რამდენიმე ეტაპად იყო წარმოდგენილი: სასიძოს მაყრიონის დედოფლის ოჯახში სტუმრობა, საპატარძლოს ოჯახში გამართული ცერემონიალი, პატარძლისა და პატარძლის მაყრიონის ნეფის ოჯახში სტუმრობა, ქორწილის შემდეგ სასიძოს საპატარძლოს ოჯახში გადაპატიჟება და საპატარძლოს ახლობლების სასიძოს ოჯახში მიწვევა. ქორწინების ყველა საფეხურს თან ახლდა სტუმარმასპინძლობა, სიმღერა-მოლხენა, ცეკვა და სიტყვამზეობა. ყველაფერი ეს კი, ტრადიციულ წესებს ექვემდებარებოდა.

განსაკუთრებით, მდიდრულად არის წარმოდგენილი აჭარაში არსებული წეს-ჩვეულებები მოცემულ საფეხურზე, რამდენადაც ეს ის პერიოდია, როდესაც ქორწილის შემდეგ, პატარძალი პირველ დღეებს ატარებს უცხო, განსხვავებულ გარემოში, მისი ყოველი ნაბიჯი დაკავშირებულია სხვადასხვა წარმოდგენის თუ ხალხის ცნობიერებაში ფესვადგმულ ტრადიციებთან. გარვეული წეს-ჩვეულება ზოგჯერ დამახასიათებელია, არა მთელი აჭარის კუთხისათვის, არამედ მხოლოდ ერთი სოფლისათვის.

§ 5. საქორწინო წეს-ჩვეულებასთან დაკავშირებული ხატოვანი სიტყვა-თქმანი

ქართული ენა ხატოვან თქმათა თვალსაზრისით, ყველაზე მდიდარი ენაა. ხატოვნობის ნიადაგზე აღმოცენებული ლექსიკური ნიმუშები ამდიდრებენ და

ამრავალფეროვნებენ ენის საერთო ლექსიკურ შედგენილობას. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმები ლინგისტიკის ერთ-ერთი საინტერესო ობიექტია. მისი შესწავლის საკითხებს ეხება შ. ძიძიგურის, ქ. კანდელაკის ა. ნეიმანის და სხვათა გამოკვლევები.

ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობა მდიდარია ხატოვანი სიტყვა-თქმებით. ამ მხრივ საყურადღებო მასალებს მოიცავს სულხან საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“, ასევე აღსანიშნავია, თედო სახოკიას „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, რომელშიც მოქცეულია ისეთი სიტყვა-თქმები, რომელთაც დაკარგული აქვთ თავდაპირველი მნიშვნელობა და ჩვენი ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე სხვა მნიშვნელობა მიუღიათ.

1974-75 წწ დაისტამბა პროფესორ ალექსანდრე ლლონტის მიერ შედგენილი „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“, რომელიც ქართული დიალექტიკური ლექსიკონის შედგენის პირველი ცდაა. სიტყვის კონაში შესული სიტყვა-თქმები ოდნავადაც ვერ ამოწურავს იმ მარაგს, ამგვარი ლექსიკური ერთეულებისა, რომელიც ხალხშია დაუნჯებული.

ხატოვან სიტყვა-თქმათა მრავალი ნიმუში წარმოდგენილია ჯ. ნოლაიდელის ნაშრომებში. ბუნებრივ ფრაზებსა და იდიომებს ყურადღება მიაქცია შ. ნიჟარაძემ თავის მონოგრაფიაში და შეიტანა ნაშრომის სალექსიკონო ნაწილში.

ხატოვანი სიტყვა-თქმების შესწავლას გარკვეული სიძნელები ახლავს. ამ სახის ლექსიკა ცოცხალ მეტყველებაზე ხანგრძლივ და სისტემატიურ დაკვირვებას მოითხოვს. სალექსიკონო მასალების შეგროვებისას, საჭიროა დიალექტში არსებულ ხატოვან სიტყვა-თქმებზე ყურადღების გამახვილება. ბევრი სიტყვა თუ გამოთქმა თანდათან კარგავს თავის ფუნქციას და ისტორიის საკუთრება ხდება. ამიტომ, მსგავსი მასალის უხვად მოპოვება შეიძლება ხალხთან უშუალო ურთიერთობისას, როცა საუბარი ძალდაუტანებლად ვითარდება.

ხატოვანი გამოთქმები გამოიყოფა სხვადასხვა დარგის, მათ შორის, ქორწინებასთან დაკავშირებულ ლექსიკაში.

მოცემულ თავში წარმოგიდგენთ, აჭარულ დიალექტში, ქორწინების წეს-ჩვეულებასთან დაკავშირებულ საინტერესო გამოთქმებს, რომელიც დამახასიათებელია ქორწინების გარკვეული საფეხურისათვის, საყურადღებო ცნობებს გვანვდის მათ შესახებ და საშუალებას გვაძლევს, უფრო საფუძვლიანად შევისწავლოთ ეს წეს - ჩვეულებები.

აკვანში წილნაყარი - უკვე ზრდასრულ საპატარძლოს აკვანში წილნაყარი, ასევე, ზრდასრული ვაჟი თუ აღარ მოსწონდა, შეეძლო სხვას გაჰყოლოდა, მაგრამ მამისეულ სახლში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, იგი ველარასოდეს დაბრუნდებოდა. ამით სისხლისღვრას თავიდან იცილებდნენ ქორწინების ჩაშლის შემთხვევაში, საპატარძლოსათვის ნიშნობის დღეს ბოძებული ოქროს სამკაულები და სხვა საჩუქრები საქმროს მხარეს უკან არ უბრუნდებოდა.

ალაიას მიცემა უმიზნოდ, ტყუილუბრალოდ, სროლა ვაჟის მხრიდან ქორწინლში.

ანკვის გადაგდება ცდა ვისიმე ან რისიმე ხელშიჩასაგდებად (მოტყუებით, ცბიერებით). „იმ დღიდან ჩემი გრძნობა-გონება საკუთრად იმან მიიზიდა და ჩვეულებრივად იმედიანად გადაუგდე ანკესი“ (აკაკი).

ბედის გაბრუნება ბედნიერების მოშორება, არიდება, უბედოდ დარჩენა, გაუბედურება. მაგალითად: „გოგოს ბედნიერების დრო აქვს. ბედს ნუ დაუბრუნებთ. აბაიშვილი ჩვენგან დასაწუნი როდია...“.

ბედის გახსნა ბედნიერება, გამარჯვება, წარმატება, საქმის კარგად წასვლა, ხელის მომართვა. „მოინდომა მამამ იმისი დაქორწინება, მოყარა მაჭანკლები, შემოიარა ქვეყანა, მაგრამ, ტყუილად, არ იქნა, იმისი ბედი არ გაიხსნა“

ბედის დაყივლება მთხოვნელის გამოჩენა. „მამიდა ბედმა დაგიყივლაო, წაყვიო - უთხრა მამიდამ“.

ბედთან შეყრა გაბედნიერება, სიკეთის გადაკიდება.

გზას სიმღერა ვუთხრათ მგზავრული ვიმღეროთ; გზა მშვიდობიანად და მხიარულად გავლიოთ, სიმღერით გავლიოთ. „წავიდოდით, წავიყვანდით დედოფალს. გზაში იტყოდნენ - გზას სიმღერა ვუთხრათო! ვიმღერებდით „მგზავრულს“.

გულის გაერთება ვინმემ თავისი და სხვისი გული ერთ გულად აქციოს (თ. სახოკია) შეყვარება, ვისთანმე კარგი განწყობილების დამყარება, დამეგობრება შეყვარება. „მთლად განმარტოვდა ქალი, თავი გაითავისნინა, გული აღარავის გაულო, არ გაუერთა, არავის გაენდო, აღარავის დაუახლოვდა“.

თვალის დაღვმა მოწონება, ვისმე თავისადმი მიჩნევა, თავისად ნატვრა. აქ „აქ მასწავლებლობის დროს დეიდას მაზღმა, გიგა მაჩაბელმა, თვალი დამადგა, მოვეწონე, უნდოდა დამლაპარაკებოდა, მაგრამ გამოუსვლელი ხეპრე კაცი, რას მეტყოდა“.

თვალის დაჭერა თვალის დევნება; მოწონება, ჩაცვივებით და ნდომით ცქერა. „მეტი რა გინდა, არ ვიცი, ვიზე გიჭირავს თვალია? (ვაჟა-ფშაველა); „ემჯობინებოდა, კარგი ოჯახის ქალი აერჩია; ბევრს უჭირავს ჩვენს ბიჭზე თვალი, თუნდა ბერიკაანთ“ (ეგნ. მენტეშაშვილი).

ლექაქის მოხდა უსირცხვილობა, უნამუსობის გზაზე დადგომა, ნამუსზე ხელის აღება, ქალის მიერ სასაუგო საქმის ჩადენა.

ლექაქის ყურზე გამობმა ქალის მიერ თავის ქმრის ან და საერთოდ მამაკაცის დამორჩილება, თავის ნება-სურვილზე ტარება.

მის ბედს ძალლიც არ დაჰყეფდა ბედნიერია, კარგად არის მისი საქმე. „ისეთ ბედში ჩავარდა, მის ბედს ძალლიც აღარ დაჰყეფდა“.

მოყვრობის ჩამოგდება როცა ორ ოჯახს ან ორ გვარს შორის რაიმე მიზეზით მტრობა ჩამოვარდებოდა, გვარისა თუ ოჯახის უხუცესი წარმომადგენლები ცდილობდნენ ისინი ერთმანეთთან მოერიგებინათ. მტრობისა და სისხლის ღვრის თავიდან აცილების ერთ-ერთი რეალური გზა დანათესავება იყო. ინფორმატორთა ცნობით: გადანყვეტდნენ, „მტრობაში მოყვრობა ჩამოვაგლოთ“. აღრე უთანხმოებაში მყოფი ერთი ოჯახის ქალს მეორე ოჯახის, გვარის ვაჟზე გაათხოვებდნენ.

მხარის მიცემა მიშველება, დახმარება, გაჭირვებისაგან ხსნა, შეწვევა. შდრ. ბევრი რამ გვაკლია ჩვენ, ქართველებს, მაგრამ ყველაზე დიდი ნაკლი ის არის, რომ ჯერ-

ხანად არ ვიცით, საზოგადო საქმეს როგორ მივცეთ მხარი, როგორ მოვუაროთ, როგორ ვუპატრონოთ (ილ.ჭავჭავაძე). ერთი მხრივ, თქმები მხარის მიცემა, მხარში ამოდგომა, მხარის მობმა გადაქცეულია სინონიმებად მიშველების, დახმარება-შენევისა, მეგობრობისა, ხოლო მეორეს მხრივ, მხარი-საგან წარმომდგარია სიტყვები: მოხმარება (მხარის მიკვრა მხართან) - შეცვლა; მომხრე (მხარში ამომდგომი) - მეშველი, თანამოზიარე; მომხრობა (მხარში ამოყენება სხვისა) - თავის მხარეზე გადმოყვანა მოყვასისა; მომხრეობა (მხარში ამოდგომა) - გამოსარჩლება; მხარ-და-მხარ, მხარი-მხარს - ერთიმეორის გვერდით.

ნატლომი გოგო ხანგასული, გაუთხოვარი, დედ-მამის სახლში მყოფი ქალი. „ნატლომი გოგოა მარა, არც შენ ხარ პანაი“

ნამუსის ლეჩაქის ახლა ქალის მიერ ნამუსზე ხელის აღება. შედარება, „ნამუსის ლეჩაქი აგვეხადა“. ოჯახის სინმინდებზე ნაცარ-ტუტა დაგვეყარა (ე. გაბაშვილი).

ოჯახში დაუდუმლება - სასიძოს, მის მშობლებსა და სისხლით ნათესაურ გაერთიანებას _ „ნოგროს“, შე საძლოა ესა თუ ის გო გო არ მოს წონ დათ და სარ ძლოდ არ სურ დათ, მაგრამ გოგო მაინც მისი სურვილით „დუჯდებოდა ბიჭს“.

იტყოდნენ: ის ქალი „მივდა და დუუჯდა მისთვინაი“. ოჯახში ამგვარად მისულ ქალს რძლად ხშირად მიიღებდნენ, თუმცა ზოგჯერ კი - არა. დაუდუმლება განსაკუთრებით მაშინ ხდებოდა, როცა გასათხოვარი ქალიშვილის ხელის თხოვნას ისეთი პიროვნება დააპირებდა, ვინც გოგოს ოჯახს სასიძოდ არ მოსწონდა. ამ შემთხვევაში მშობლები ქალიშვილის თან ხმო ბით საპატარძლოს _ „ვინც მათ უნდოდათ იმას დუჯდენდნენ“. ამით ოჯახებს ქალის თაობაზე წარმოქმნილი მოსალოდნელი მტრობაც თავიდან ასცილდებოდათ, რადგან მათ უკვე მოსამიზებელი საბაბი ეძლეოდათ - „რა ვქნათ ჩვენ, გომბიო მისით გეიქცა და დუუჯდა იმას, ვინც მას უნდოდათ“.

სადილის მიტანა ერთობ გავრცელებული და ცნობილი წესია აჭარაში. არსებობს გადმოცემა, რომლის მოკლე შინაარსი ასეთია: მამას ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა, ქალიშვილის მთხოვნელი კი - სამი. მამამ უარი ვერცერთს ვერ უთხრა და ხერხს მიმართა: ღამით თავისი ქალიშვილი ძაღლთან და სახედართან ერთად ახორში

(ბოსელში) დაამწყვდია. დილით ახორის კარები რომ გააღო, იქედან სამი ერთნაირი ქალიშვილი გამოვიდა. მამამაც კი ვერ იცნო თავისი ქალიშვილი. ქალიშვილები მოხოვნელებს გაატანა. რამდენიმე ხნის შემდეგ, მამა მოსაკითხით წავიდა მათ მოსანახულებლად. მივიდა პირველ სიძესთან და შვილის ამბავი გამოკითხა. სიძემ შეაქო ქალი, მისი საქმიანობა, მაგრამ გულისტკივილიც გამოთქვა, ძალიან ჯიუტიაო. მეორე სიძესთან იგივე განმეორდა: ქალი მშრომელი, ქმრის დამფასებელი, მაგრამ, ამასთანავე ძალიან ბრაზიანი გამოდგა. მხოლოდ მესამე სიძესთან მისვლის შემდეგ დაადგინა მამამ თავისი ქალიშვილის ადგილსამყოფელი. ხალხი აღნიშნავს; რომ ამ „ამბის შემდეგ დაწესდა ახლად გათხოვილი ქალიშვილისათვის სადილის მიტანის წესი“.

მსგავსი ჩვეულება საქართველოს სხვა კუთხეებშიც დასტურდება, თუმცა იგი სხვა სახელებითაა ცნობილი. ამ გადმოცემის კვლევაში, შესაძლოა მისი მითოლოგიური საფუძველიც წარმოაჩინოს.

დიდი უბედურება იყო, თუ ოჯახში შვილი არ გაჩნდებოდა, ან ქალს შვილები არ შერჩებოდა-მცირე ასაკშივე დაეხოცებოდა. ქალს შვილი რომ შერჩენოდა, გაზრდოდა, სხვადასხვა წეს-ჩვეულებას მიმართავდნენ. მაგალითად ახალდაბადებულ ბავშვს პირობით გააშვილებდნენ. მშვილებელი ბავშვს „იყიდდა“-განსაზღვრულ თანხას გადაიხდიდა.

საცვეთი ბოხჩა დანიშნულ გოგონას, თუ ქორწილი დიდხანს ვერ გაიმართებოდა ან ასაკით იმდენად პატარა იყო რომ, არ გაათხოვებდნენ, ნიშანთან ერთად **ბოხჩას** მიუტანდნენ. ბოხჩის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენდა ერთი საკაბე სიდედრისათვის, ზოგან ბებიისთვისაც. როგორც ჩანს, ჩასაცმელის ყოველწლიურად გაგზავნა თანდათან შეუერთდა ბოხჩას და, საქორწილო მონყობილობის გარდა, მასში რამოდენიმე უბრალო საკაბეც გახდა საგულისხმებელი..

სისხლში მიცემული ქალი ასეთი ქალი ორივე მხრისათვის პატივსაცემი პიროვნება ხდებოდა; მას „სისხლში მიცემულ ქალს“ ეძახდნენ; იგი „**სისხლს სწმენდა**“ ორივე გვარს, ორივე ოჯახს.

სიტყვის გატანა საპატარძლოს მხარისაგან სასიძოს სახლში, ნიშნობის შესაძლებელი თარიღის შესახებ შეთანხმებაზე დასტური.

ულვაშის სიტყვა ჭრიდა ვაჟკაცის სიტყვა, ულვაში ძველადვე მამაკაცისათვის საფიცარი იყო. პატიოსნობის, ნამუსიანობის ნიშნად თვლიდნენ. ულვაშით განირჩეოდა მამაკაცი დედაკაცისაგან.

უზანგის საჩუქარი უზანგის საჩუქრად სულ ძველად ყოჩს ამზადებდნენ. მას დედოფლის ცხენს შემოუტარებდნენ გარშემო სამჯერ და იქვე კლავდნენ. შემდეგ კი, წესად შემოსულა „პატიება“-დაკვლის მხოლოდ იმიტაციის შესრულება ყოჩის ყურის შეჭრითა და სისხლის გამოდენით.

ფანჯრიდან გაშპენა პატარძლის ფანჯრიდან მოპარვა.

ფანჯრიდან შეყვანა ქმრის სახლში დედოფლის უვალი გზით - ფანჯრიდან, ფიცარნაგიდან შეყვანა.

შენს ქორწილში ცხრილით მოგიზიდავ წყალსა! არაფერს დავიზარებ, წყალს უჭურჭლოდაც მოვიტან, შეუძლებელს შევძლებ.

ხელის დადება საცოლედ დანიშვნა ქალისა; დანაშაულის დაბრალება; წამლობა ავადმყოფისა: მღვდლად კურთხევა.

პირველყოფილი ადამიანისთვის ვიზედმე ან რაზედმე ხელის დადება გამოხატავდა ვისიმე ან რისამე შეპყრობას, დასაკუთრებას, მითვისებას. განსაკუთრებით, როცა მამრს უნდოდა მდედრს დაუფლებოდა.

როცა ადამიანის ზნე-ჩვეულებას წმინდა პირუტყვული გარეგნობა ჩამოეცალა, როცა მამაკაცი, შედარებით უფრო „ადამიანი“ გახდა, თავის ცხოვრების თანამგზავრად თვალში მოსულ მდედრს თავზე ხელს დაადებდა ან ქედს ესროდა და ამით გამოხატავდა თავის სურვილს: ქედნასროლი ან ხელდადებულ ქალის თავისად მიჩნევისა. შემდეგში ხელის დადება გადაიქცა სიმბოლოდ დანინდვისა.

კიდევ განვლო ხანმა (და დიდმაც!) და ხელისდადებამ უფრო კულტურული სახე მიიღო: როცა გაჩნდა შაქარი, რომელიც პირველში, რა თქმა უნდა, ყველასათვის ხელმისაწვდომი არ იქნებოდა (ყოველ შემთხვევაში დიდის რაოდენობით), და

ლითონის რისიმე ბეჭედი, რომელიც შაქარზე არანაკლებ ძვირფასი უნდა ყოფილიყო, საქმრო საცოლეს უგზავნიდა ერთსა და მეორესაც და ორსავე ხელისდასადები, ე. ი. დასანიშნი დაერქვა. სხვას, გარდა ხელისდამდებელისა, აზრად არ უნდა მოსვლოდა (და არც მოუვიდოდა) ხელდადებულ ქალის შერთვა და თუკი ვინმე განიზრახავდა მოყვასის ამ უფლების შელახვას, დათრგუნვილი უფლება უნდა აღედგინა ფიზიკურ ღონეს, რაც გამოიხატებოდა ასეთ შემთხვევაში დავის გადაწყვეტის აუცილებელ და, ამასთან, ერთადერთ საშუალებად.

მეორე შემთხვევაში ხელისდება გამოხატავდა ამათუ იმ კაცისათვის რაიმე დანაშაულის დაბრალებას, მის გამოყვანას ვისიმე იურიდიული უფლების დარღვევის ავტორად. ხელდადებული შეპყრობილად, პატიმრად ითვლებოდა.

ხელისდადების მესამე ხასიათის მნიშვნელობა შეეხება წამლობას და კურნებას ავადმყოფისას, რომლის მოსარჩენდაც მოწვეულია. სწორედ მან ხელი უნდა დაადოს - მოჰკიდოს. თუკი მკურნალობა უკეთესობისკენ წავა, იტყვიან: ვისაც ის ხელს დაადებს, „ულურ“ მორჩებაო.

დასასრულ, მეოთხე მნიშვნელობით, ხელის დება ანუ ხელდასმა გულისხმობს, ეპისკოპოსის მიერ ხელის დადებას, ზეგარდმოსულის წმიდის მადლის და ძალა-უფლების გამოვლინებას მღვდლად საკურთხებელ ერის კაცზე (თ. სახოკია: 1955, 204).

ხელში ჩათვლა სახლში შესვლისას პატარძალს ფეხებთან ცხვარს დაუწვენდნენ, რომლის საფასურსაც ხელის მიმკიდე იხდის. ის იცავს პატარძალს და „სანთიობიოში“ (ახალშეუღლებულთათვის განკუთვნილი ოთახი) სიძეს აბარება. ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში იგი „ხელში ჩათვლის“ სახელითაა ცნობილი.

ჯობის გატეხვა - დაქორწინება, „მოყვანა-გათხოვა“, ძირითადად, შუამავლის-მურავის მეშვეობით ხდებოდა. შუამავალი დადიოდა ქალის ოჯახში და ზრდილობიანად მითხოვდა ქალის ხელს. საქმე, ბუნებრივია, ერთი მისვლით არ გადაწყდებოდა. თუ ოჯახის უფროსს არ სურდა ქალიშვილი დასახელებულ პირზე გაეთხოვებინა, შუამავალს უარით ისტუმრებდა. შუამავალი არ ანებებდა თავს. რამდენიმე მისვლისა და უარით გასტუმრების შემდეგ, თუ კიდევ მივიდოდა შუამავალი,

მაშინ ოჯახის უფროსი **ჯოხს** გატეხდა და დადებდა სუფრაზე, რაც მის საბოლოო გადაწყვეტილებაზე მიუთითებდა. „ჯოხის გატეხის შემდეგ მურავი აღარ იკადრებდა მისლასო“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კიდევ ბევრი ნიმუშის მიკვლევა და დასახელება შეიძლება, მაგრამ აჭარული დიალექტიდან აქ წარმოდგენილი მცირე მასალაც საკმარისია იმის დასტურად, რომ ხატოვანი სიტყვა-თქმები ენის სიმდიდრე და საუნჯეა. დიალექტურ მონაცემებს დიდი მნიშვნელობა აქვს ენის განვითარების ზოგად კანონზომიერებათა წარსადგენად და ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის ამსახველი ენობრივი ფაქტების მართებულად გაგებისათვის. დღესდღეობით სალიტერატურო ენა გაცილებით უფრო ძლიერ გავლენას ახდენს დიალექტებზე ვიდრე ოდესმე.

დასკვნითი დებულებები

ქართული ქორწილი მრავალფეროვნობითა და რიგი თავისებურებებით გამოირჩევა. თითოეული მათგანი განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც ქართული აჭარული საქორწინო ცერემონიალი და მასთან დაკავშირებული ლექსიკური მასალა, ასევე ტრადიციები და რიტუალური სცენები.

აჭარული თურქული ენის ძლიერ გავლენას განიცდიდა, გამომდინარე აქედან, ფიქსირდება ბევრი თურქული ტერმინი, რომელიც უკვე აღარ იხმარება ან თანდათან გამოდის ხმარებიდან.

აღსანიშნავია, რომ აჭარულ ქორწილთან დაკავშირებულ ლექსიკურ მარაგში, გარდა ძირეული აჭარული ლექსიკისა, დასტურდება ასევე, თურქული, სპარსული, რუსული და სხვა წარმოშობის სიტყვებიც: ბე//ბეჰი, ჯეზი, ჯიბელული...

აჭარულში საქორწინლო წეს-ჩვეულებასთან დაკავშირებით ტერმინების გვერდით კარგად ჩანს უცხოენოვან ტერმინთა გაქართულების ტენდენცია - აფიქსების მეშვეობით უცხო სიტყვის ქართულ ყალიბში მოქცევა: გვევზობა, დაბევება, ქიბრობა და სხვა.

როგორც, უკვე აღვნიშნეთ, ქორწილი და საქორწინლო რიტუალიც რამდენიმე ეტაპად იყო წარმოდგენილი: დაკვლევა-დარიგება, ნიშნობა, ქორწილი, სასიძოს მაყრიონის დედოფლის ოჯახში სტუმრობა, საპატარძლოს ოჯახში გამართული ცერემონიალი, პატარძლისა და პატარძლის მაყრიონის ნეფის ოჯახში სტუმრობა.

ქორწინების პირველი საფეხური, პარტნიორთა შერჩევის ტრადიცია, ძველთაგანვე ჩამოყალიბებულია. მათი შერჩევის საშუალება ჰქონდათ ნადში, ქორწილსა თუ სატირალში მშობლების მიერ. შერჩევის პარარელურად არსებობდა გარიგება, როცა

მაჭანკალი აქორწინებდა ზოგჯერ სრულიად უცნობ და ერთმანეთის უნახავ ახალგაზრდებს. მაჭანკალი ქალ-ვაჟის მშობლებს აცნობდა ერთმანეთის ქონებრივ მდგომარეობას, ჯიშ-ჯილაგს, წარმომავლობას და სხვა.

ელჩობის მთელი ინსტიტუტის ადგილობრივი მასალების განხილვით ჩანს, რომ აჭარაში იგი დამოუკიდებელ ხელობად, მაჭანკლობად ჩამოყალიბებული არ ყოფილა. მოცემული საფეხური მრავალფეროვანი ლექსიკური ერთეულებითა და ფრთიანი გამონათქვამებით გამოირჩევა.

აჭარასა და მთელ საქართველოში ძველთაგანვე გავრცელებული ყოფილა „აკვანში დანიშვნის“ ტრადიცია. ერთმანეთისადმი მეგობრულად განწყობილი მშობლები დანათესავების მიზნით დაბადებამდე, აკვანში ან უკვე მოზრდილ ბავშვებს ნიშნავდნენ, რომელიც ზოგჯერ ტრაგედიით სრულდებოდა.

ნიშნობის სიმბოლოდ აჭარასა და სხვა კუთხეებში სხვადასხვა ნივთი გამოიყენებოდა: ტყვია, ჯოხი, ყვავილი, ისარი დამბაჩა, ქუდი და სხვა. თუმცა აჭარაში ნიშნობის სიმბოლოდ ოქროს ბეჭედს - „ალთუნს“ ტოვებდნენ.

ნიშნობა, წინა საქორწილო საფეხურია, რომელიც გარკვეულ სახეცვლილებებს განიცდის. ეს ტრადიცია ხასიათდება სპეციფიკური თვისებებით, როგორებიცაა: ოჯახზე დაჯდომა, მოტაცება ჩასიძება და სხვა. რაც შეეხება ლექსიკურ ერთეულთა წარმომავლობას გვაქვს როგორც საკუთრივ ქართული, ასევე, უცხოურიდან ნასესხები სიტყვები.

ქორწინების ინსტიტუტმა და მასთან დაკავშირებულმა წეს-ჩვეულებებმა განვითარების საკმაოდ გრძელი გზა განვლო. აღნიშნულ ადათ-წესებზე, ოდითგანვე დიდ ინტერესს იჩენდნენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, რადგან იგი საინტერესო საკვლევ მიმართულებას წარმოადგენს, როგორც ეთნოგრაფიული ასევე, ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც. რამდენადაც მოცემულ ეტაპზე უამრავ ტრადიციასთან ერთად გვხვდება შესაბამისი სპეციფიკური ტერმინები. რომელთაგან ზოგი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებშიც არის გავრცელებული, ზოგი კი მოცემულ დიალექტს შემოუნახავს. სხვა საფეხურთა მსგავსად, აქაც მრავლად არის უცხოური

კერძოდ თურქული ლექსიკური ეთეულები, რომელთა არსებობა ისტორიული წარსულიდან გამომდინარე ჩვეულებრივი და მოსალოდნელია.

საქორწინო რიტუალის აუცილებელ ელემენტად, ადრეც და დღესაც მოქმედებს კერასთან დაკავშირებული ქმედებები.. მისი მრავალი სახე არსებობდა. ერთ დროს ყველა წესი ერთად სრულდებოდა, შემდეგ კი ზოგიერთი დაიკარგა და ცალკეული გადმოცემის სახით შემორჩა. ოჯახის გამაერთიანებლად ითვლებოდა კერის კულტი, კერა იყო მარადიული ცეცხლის სიმბოლო . ეს ცერემონიალი წარმართული ხანიდან მომდინარეობდა, რომლის მიზანი იყო ავი თვალისგან დაცვა.

როგორც აჭარის საქორწინო რიტუალის შესწავლა ცხადყოფს , იგი ძირითადად ემთხვევა ქართული საქორწინო რიტუალს. მაგიური თუ სხვა ხასითის წეს-ჩვეულებებს აჭარაში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, დიდი ხანია დაკარგული აქვთ თავისი პირვანდელი მნიშვნელობა, მაგრამ სრულდებიან ტრადიციის ძალით.

განსაკუთრებით, მდიდრულად არის წარმოდგენილი აჭარაში პატარძლის ახალ ოჯახში მისვლასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები. რამდენადაც ეს ის პერიოდია, როდესაც ქორწილის შემდეგ, პატარძალი პირველ დღეებს ატარებს უცხო, განსხვავებულ გარემოში, მისი ყოველი ნაბიჯი დაკავშირებულია სხვადასხვა წარმოდგენის თუ ხალხის ცნობიერებაში ფესვგადგმულ ტრადიციებთან. გარვეული წეს-ჩვეულება ზოგჯერ დამახასიათებელია, არა მთელი აჭარის კუთხისათვის, არამედ მხოლოდ ერთი სოფლისათვის.

ამრიგად, აჭარაში, და მათ შორის, საქართველოს სხვა კუთხეების მოსახლეობაში, ქორწინება რამდენიმე საფეხურიანი იყო, რომელიც შუამავლობიდან იწყებოდა, ნიშნობისაკენ ვითარდებოდა და ქორწილით მთავრდებოდა.

თავის მხრივ, ქორწილი და საქორწინო რიტუალიც რამდენიმე ეტაპად იყო წარმოდგენილი: სასიძოს მაყრიონის დედოფლის ოჯახში სტუმრობა, საპატარძლოს ოჯახში გამართული ცერემონიალი, პატარძლისა და პატარძლის მაყრიონის ნეფის ოჯახში სტუმრობა.

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. ბექაია მ., ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, თბილისი, 1974
2. ბექაია მ., ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები, თბილისი, 1980.
3. გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., ქავთარაძე ვ., ქართული დიალექტოლოგია, I , თბილისი, 1961.
5. გელოვანი აკ., მითოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 1983.ვანილიში მ, თანდილავა ა., ლაზეთი, თბილისი, 1964.
6. მსხალაძე ა., აჭარის საოჯახო -საწესჩვეულებო პოეზია, ბათუმი,1969.
7. იველაშვილი თ., საქორწინო წეს-ჩვეულებანი საქართველოში, თბილისი 1999.
8. ნიჟარაძე შ., აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1975.
9. ნიჟარაძე შ., ზემოაჭარულის თავისებურებანი, ბათუმი, 1957.
10. ნოლაიდელი ნ., ლექსიკური ძიებანი, ბათუმი, 2013.
11. სამსონია ი., ქალის სამკაული აჭარაში, სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, ტ. IV, თბილისი, 1976.
12. სამსონია ი., აჭარულიჩაცმულობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, ჭოროხი. #4. თბილისი, 1974.

13. სახოკია თ., აჭარა, მოგზაურობანი, თბილისი, 1950.
14. სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ტ I. თბილისი, 1950.
15. სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ტ II. თბილისი, 1954.
16. სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ტ III. თბილისი, 1955.
17. სახოკია თ., აჭარა, მოგზაურობანი, თბილისი, 1950.
18. სახოკია თ., „მოგზაურობანი“, თბილისი, 1985.
19. სიხარულიძე ე., საქორწილო პოეზია, წიგნში ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, თბილისი, 1960.
20. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1928.
21. სულხან-საბა ორბელიანი, სიტვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, თბილისი, 1949.
22. ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.
23. ქერიძე კ., ქორწინებისა და ოჯახური ურთიერთობის ქართული ტრადიციების მნიშვნელოვანი ღირებულება, თბილისი, 1977
24. ლლონტი ალ., ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 1988.
25. ლლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1974.
26. ლლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, ტ II. თბილისი, 1975.
27. ყაზბეგი გ., აჭარის შესახებ, თბილისი, 1960.
28. შანიძე ა. ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1971.
29. ჩელებაძე ნ., ქალი და ოჯახი, თბილისი, 2005.
30. ჭიჭინაძე ზ., მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, თბილისი, 1913.
31. ჭყონია ი., ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, თბილისი, 1959.
32. ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, თბილისი, 1989.
33. დმ. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Аджарии, Тбилиси, 1878.

ფოტომასალა



ქალის თავსაბურავი - „ფესი თებელულით“.

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი





სოფელი ბარათაული (მუახევის რაიონი).



სახის დასაფარი პირბადე „ჩათხი“ . სოფელი ღორჯომი (ხულოს რაიონი)



ვერცხლის ქამარი



ვერცხლის ქამარი, სოფელილორჯომი (ხულოს რაიონი)



„გულდახურული ჩათაკა“. სოფელი ჩხაკურა (ჩოხატაურის რაიონი)



ვერცხლის ქემერი (აჭარის რაიონი)